

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების მოკლე აღწერა

საფაკულტეტო სასწავლო კურსების მოდული

1. მათემატიკა ეკონომისტებისათვის I

სასწავლო კურსის მიზანი: გააცნოს მათემატიკის ადგილი და როლი თანამედროვე ეკონომიკაში; უზრუნველყოს სტუდენტის მათემატიკის ფართო ცოდნის დონე, რომელიც საკმარისი იქნება ეკონომიკური ლიტერატურის წაკითხვისა და გაგებისათვის, მათ შორის პერიოდული გამოცემების, რომლებშიც გამოყენებულია მათემატიკური მეთოდები; მისცეს მათემატიკის ფართო ცოდნა, რომლის გამოყენებასაც შესძლებს პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის დროს;

სასწავლო კურსის შინაარსი: სასწავლო კურსში განხილულია 7 საკვანძო თემა. წრფის განტოლება და ეკონომიკის უმარტივესი მათემატიკური მოდელები, ვექტორები, მატრიცები და დეტერმინანტები, წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემები, ფინანსური მათემატიკის ელემენტები. თითოეული თემა ითვალისწინებს პრაქტიკული ამოცანებისა და სავარჯიშოების შესრულებას, თეორიულ კითხვებზე პასუხის გაცემას, საშინაო დავალებების, საკონტროლო ტესტების და დამოუკიდებელი სამუშაოების სახით. აღნიშნული კურსის შესწავლა სტუდენტს საშუალებას მისცემს ფართოდ შეისწავლოს თანამედროვე ეკონომიკური ციკლის საგნები. შესძლებს წაკითხოს და გაიგოს ეკონომიკური ლიტერატურა, მათ შორის პერიოდული გამოკვლევები, სადაც გამოყენებულია აღნიშნული მათემატიკური მეთოდები.

სწავლის შედეგი: იცის და კომბინირებულად იყენებს მათემატიკურ აპარატს თანამედროვე ეკონომიკაში. იცის წრფის განტოლების სხვადასხვა სახეები და იყენებს მათ ეკონომიური ამოცანების ამოხსნისას. იცის სრული დანახარჯის, ცვეთის, მოთხოვნისა და მიწოდების წრფივი მოდელის შედგენა. იცის მატრიცების და დეტერმინანტების გამოყენებით ეკონომიური ამოცანების ამოხსნა; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეძლებს წრფივი ფუნქციების გამოყენებით შეძლებს დანახარჯების, შემოსავლების და მოგების წრფივი მოდელების აგება და ანალიზი; ნულოვანი მოგების განსაზღვრა. წრფივი ფუნქციების კომპლექსური გამოყენება პრაქტიკულ სიტუაციებში: ტვირთის გადატანის ხარჯების განსაზღვრა, წარმოების სიმძლავრის განსაზღვრა;

2. მათემატიკა ეკონომისტებისათვის II

სასწავლო კურსის მიზანი: გააცნოს მათემატიკის ადგილი და როლი თანამედროვე ეკონომიკაში; მოამზადოს სტუდენტები როგორც სპეციალური, ასევე ზოგადეკონომიკური ციკლის საგნების შესასწავლად; უზრუნველყოს სტუდენტის მათემატიკური ცოდნის ფართო დონე, რომელიც საკმარისი იქნება ეკონომიკური ლიტერატურის წაკითხვისა და გაგებისათვის, მათ შორის პერიოდული გამოცემების, რომლებშიც გამოყენებულია მათემატიკური მეთოდები, შეასწავლოს ისეთი მათემატიკური მეთოდები, რომელთა

გამოყენებასაც შესძლებს კომპლექსური ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის დროს, შექმნას წინაპირობები, რათა სტუდენტებს შეეძლოს დამოუკიდებლად შეისწავლონ მათემატიკის სხვადასხვა დარგები, უპირატესად გამოყენებითი ხასიათის.

სასწავლო კურსის შინაარსი: კურსი ორიენტირებულია თანამედროვე ეპოქაში ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში მათემატიკის ცოდნის მნიშვნელობის გაცნობიერებაზე, მათემატიკური მეთოდების დამუშავებასა და რეალიზაციის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. სასწავლო კურსში განხილულია 9 საკვანძო თემა: რიცხვითი მიმდევრობები, რიცხვითი მწკრივები, ფუნქციის ზღვარი, ფუნქციის წარმოებული, ფუნქციის გამოკვლევა წარმოებულის გამოყენებით, მრავალი ცვლადის ფუნქციები, ინტეგრალური აღრიცხვის ელემენტები, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები, წრფივი დაპროგრამების ორცვლადიანი ამოცანები. თითოეული თემა ითვალისწინებს პრაქტიკული ამოცანებისა და სავარჯიშოების შესრულებას, თეორიულ კითხვებზე პასუხის გაცემას, საშინაო დავალებების, საკონტროლო ტესტების და დამოუკიდებელი სამუშაოების სახით. აღნიშნული კურსის შესწავლა სტუდენტს საშუალებას მისცემს შეისწავლოს თანამედროვე ეკონომიკური ციკლის საგნები. შესძლებს წაიკითხოს და გაიგოს ეკონომიკური ლიტერატურა, მათ შორის პერიოდული გამოკვლევები, სადაც გამოყენებულია აღნიშნული მათემატიკური მეთოდები.

სწავლის შედეგი - იცის მიმდევრობის ზღვართა თეორია და მისი თვისებები. იცის ფუნქციის ზღვარი წერტილში, ფუნქციის უწყვეტობა, ფუნქციის წყვეტის წერტილები, ორი ცვლადის ფუნქციები. იცის ერთი და მრავალი ცვლადის ფუნქციების გაწარმოება. იცის ერთი ცვლადის შემთხვევაში გარკვეული სახის ფუნქციების ინტეგრება, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები. იცის წრფივი დაპროგრამების ამოცანები. მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია ორცვლადიანი წრფივი დაპროგრამების ამოცანების ამოხსნა გეომეტრიული მეთოდით. შეუძლია აღნიშნული საკითხების გამოყენებით ეკონომიური ამოცანების გააზრება, მათემატიკურად ჩამოყალიბება და ამოხსნა.

3. ინფორმაციული ტექნოლოგიები

სასწავლო კურსის მიზანია: სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტმა გააცნობიეროს კომპიუტერისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში და შეძლოს მისი გამოყენება თავის საქმიანობაში. გამოიმუშაოს კომპიუტერთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ისწავლოს სისტემურ და გამოყენებით პროგრამულ პაკეტებთან მუშაობა, შეძლოს ინტერნეტ რესურსებით სარგებლობა.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსი შედგება ოთხი ძირითადი საკვანძო მოდულისაგან: ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა; ინტერნეტ რესურსების გამოყენება; ელექტრონული პრეზენტაციის სისტემა PowerPoint; ცხრილური პროცესორი Microsoft Excel. ამ კურსის ფარგლებში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა დაეუფლოს ოპერაციულ სისტემასთან მუშაობის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, შეძლოს ინტერნეტ-რესურსებით და ელ ფოსტით სარგებლობა; Microsoft Office პროგრამულ პაკეტში შემავალი პროგრამების გამოყენებით სტუდენტი უნდა დაეუფლოს ელექტრონული დოკუმენტების მოზადებას;

ელექტრონული პრეზენტაციების დაგეგმვას და შექმნას, ელექტრონული ცხრილების საშუალებით ინფორმაციის შენახვას და დამუშავებას, გამოთვლების ორგანიზების, მონაცემების ანალიზისა და ვიზუალიზაციის მეთოდებს; აითვისოს ძირითადი ტერმინოლოგია.

სწავლის შედეგი. იცის ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა; ვებ-ბრაუზერებთან მუშაობა და საჭირო ინფორმაციის მოძიება ინტერნეტის ქსელში; ელექტრონული ფოსტით სარგებლობა; შეუძლია კომპიუტერთან პრაქტიკული სამუშაოების გადაწყვეტა და შესრულება, წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად (მათ შორის დარგობრივ სფეროშიც). საოფისე პროგრამების პაკეტების საშუალებით შეუძლია სრულფასოვანი დოკუმენტებისა და პრეზენტაციების შექმნა; ელექტრონული ცხრილების საშუალებით დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება (დახარისხება, ძებნა, ფილტრაცია, და ა.შ.)

4. აკადემიური წერა I

სასწავლო კურსის მიზანი - კურსის მიზანია, სტუდენტს გამოუმუშავოს საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული აკადემიური წერის კულტურა, კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებისა და შეფასების უნარი, განუვითაროს ნებისმიერი ტიპის ტექსტის (ესე, რეცენზია, სამეცნიერო ნაშრომი და ასე შემდეგ) შექმნის, საჯარო გამოსვლისთვის ტექსტის მომზადების, ეფექტური საპრეზენტაციო ტექსტის აგების, საქმიანი დოკუმენტების წერის პრინციპები, შესძინოს წერიტი და ზეპირი კომუნიკაციისთვის საჭირო ენობრივი უნარ-ჩვევები. სრული კურსის მოსმენა და შესაბამისი დავალებების შესრულება ხელს შეუწყობს სტუდენტთა კულტურულ კომუნიკანტებად ჩამოყალიბებას (საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში), მათ პროფესიულ დაოსტატებას.

სასწავლო კურსის - კურსის ფარგლებში სტუდენტები შეიმეცნებენ და შეისწავლიან აკადემიური წერის პრინციპებს, განიხილავენ ტექსტებს, რომელთა შექმნა და გამოყენება ხშირად დასჭირდებათ აკადემიურ სივრცეში. ასეთებია: რეცენზია, რეფერატი, საბაკალავრო ნაშრომი და სხვა. სტუდენტები აითვისებენ ფუნქციური წერის ელემენტებს, შეისწავლიან საქმიანი დოკუმენტების ნიმუშებსა და მათი შექმნის პრინციპებს, გაეცნობიან საჯარო გამოსვლისათვის ტექსტის მომზადების ხერხებს, აზრის მკაფიოდ, გასაგებად, ლაკონურად და ლოგიკურად ჩამოყალიბებას, არგუმენტირებასა და დასაბუთებას, აზრის აკადემიურ კონტექსტში წარმოდგენას, კრიტიკულ კითხვას და სხვა.

სწავლის შედეგი - სტუდენტი ეცოდინება საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული აკადემიური წერის, საქმიანი დოკუმენტების შექმნის პრინციპები, ფუნქციური წერის ელემენტები. ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების ძირითადი საკითხები. ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციური მრავალფეროვნება, სტუდენტი შეიმეცნა წერიტი და ზეპირი კომუნიკაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. მას შეეძლება ორთოგრაფიულად და სტილისტურად გამართული ტექსტის შექმნა, ტექსტების რედაქტირება და კორექცია, საჯარო გამოსვლისთვის ტექსტის მომზადება, კურსით გათვალისწინებული დავალებები სტუდენტს განუვითარებს სხვადასხვა ტიპის ნაშრომისა თუ ესეს შექმნის დახვეწილსა და

ინდივიდუალურ სტილს, საქმიანი დოკუმენტების შედგენის უნარს, წერის გამოცდილებასთან ერთად თანდათანობით გამოიმუშავენ ნაშრომის აგების ინდივიდუალურ სტილს.

5. მსოფლიო ცივილიზაცია და საქართველო

სასწავლო კურსის მიზანი - წინამდებარე სასწავლო კურსში წარმოდგენილია საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხები ქვეყნის ისტორიული და თანამედროვე გეოკულტურული განვითარების ფონზე. ადამიანი, შემოქმედი კულტურისა და ცივილიზაციისა, ამავდროულად მისი პროდუქტიცაა. სტუდენტმა უნდა გააცნობიეროს, რომ გლობალიზაცია, ეროვნულ კულტურებს ახალ მოთხოვნებს უყენებს; კულტურათა დიალოგისათვის საჭიროა მასში მონაწილეთა ვინაობის, მათი კულტურული იერსახის ცოდნა. კურსის მიზანია სტუდენტმა გაიაზროს კულტურულ-ცივილიზაციურ ურთიერთობათა აუცილებლობა, ტრადიციული ღირებულებებითი სისტემა აღიქვას მომიჯნავე კულტურათა ფონზე; შეძლოს მულტიკულტურულ პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა, სხვა კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, მასთან თანამშრომლობა.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად, სტუდენტები შეისწავლიან პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ხასიათის საკვანძო საკითხებს: „ქართლის ცხოვრება“ და მსოფლიო ისტორია, ძველადმოსავლური სამყარო და ქართული ცივილიზაციის საწყისები, ანტიკური სამყარო და უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ფორმირება-განმტკიცება. კავკასიის მკვიდრ ხალხებთან თანაცხოვრების შედეგები, სპარსულ-ქართული უძველესი კონტაქტების, შუა საუკუნეების ევროპისა და საქართველოს სოციალური კულტურულ-ტიპოლოგიური მიმართების საკითხები, თავისუფლების იდეა და მისი განვითარება ევროპასა და საქართველოში...

სწავლის შედეგი - ცივილიზაციის, მისი ძირეული მახასიათებლების ცოდნა, რომელიც მოიცავს არსებული ისტორიოსოფიული თეორიების ათვისებას და კრიტიკულ გააზრებას. ცივილიზაციების ურთიერთმიმართების დღევანდელი და პერსპექტიული მოდელების შეცნობა. ეთნიკური ნაციონალიზმის არსის განმარტება-ფორმულირება; რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობის შეფასება, ეროვნული ისტორიის პრობლემურ საკითხების შეფასება, საკუთარი კულტურული ვინაობის განსაზღვრა, საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისა და განვითარებისათვის კულტურათა შეპირისპირების და თანამშრომლობის მნიშვნელობის გაცნობიერება;

6. კომუნიკაციების ტექნოლოგიები

სასწავლო კურსის მიზანია - კომუნიკაციის ინტენსივობის ზრდისა და მასშტაბების გაფართოების პირობებში, წარმატებული საქმიანობისათვის პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებთან ერთად აუცილებელი კომუნიკაციების ეფექტურად წარმართვა, საჯარო გამოსვლის ოსტატობის ფორმირება. ურთიერთობების, მათ შორის საქმიანი

ურთიერთობების ძირითადი ფორმების (ვერბალური და არავერბალური) სპეციფიკის ცოდნა; პიროვნების სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტიპის დადგენა, კონკრეტული მიზნის შესაბამისად და ვითარების ადექვატურად მოქმედება. საქმიანი საუბრის, მოლაპარაკების, პრეზენტაციის, საჯარო გამოსვლის უნარის გამომუშავება.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსი ორიენტირებულია პიროვნებათშორისი კომუნიკაციის ძირითადი ფორმებისა და მეთოდების შესწავლაზე. დაფუძნებულია კომუნიკაციის კონვენციური ნორმების, საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგიური საფუძვლების, ადამიანზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური პრინციპების, არავერბალური ურთიერთობების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე და უნდა უზრუნველყოს საჯარო გამოსვლის ოსტატობის დაუფლება(საჯარო სიტყვის მომზადება, სიტყვის წარმოთქმის ტექნოლოგია, კონტაქტი აუდიტორიასთან), საქმიანი ურთიერთობების (საუბარი, დიალოგი, მოლაპარაკება, პრეზენტაცია, დისკუსია–დებატები და სხვა) ოპტიმალური სახით განხორციელება.

სწავლის შედეგი - იცის საქმიანი ურთიერთობების ფორმები, მათი სპეციფიკა; ჯგუფური და ინდივიდუალური კომუნიკაციის ხერხები, აცნობიერებს მათი სიტუაციის შესაბამისად ადექვატურად გამოყენების პირობებს, შეუძლია ელემენტარულ დონეზე ადამიანის ფსიქოტიპის ამოცნობა და სიტუაციის შესაბამისად მოქმედების ოპტიმალური ტაქტიკის განსაზღვრა, საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ქცევის რაციონალურად რეგულირება–კორექტირება. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მონაწილეობა საქმიან შეხვედრებში, მოლაპარაკებებში, დისკუსია–დებატებში. ფლობს საჯარო გამოსვლის, პრეზენტაციის მომზადების და აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარების, აუდიტორიის ყურადღების მიპყრობის და ყურადღების შენარჩუნების უნარ-ჩვევებს.

არჩევითი სასწავლო კურსები

7. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია

სასწავლო კურსის მიზანი - გეოგრაფიული სივრცის ორგანიზება ნებისმიერ ისტორიულ პერიოდსა და სოციალურ ფორმაციაში წარმოადგენს ადამიანის აქტივობებისა და ბუნებრივი გარემოს კომპლექსური ურთიერთქმედების „პროდუქტს“, შესაბამისად თანამედროვე საზოგადოების გეოგრაფია სტრუქტურირებული და ტრანსფორმირებულია მსოფლიოში მიმდინარე მრავალფეროვანი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, კულტურული და ინსტიტუციონალური პროცესების შედეგად. თავის მხრივ, სივრცითი სტრუქტურები და პროცესები გავლენას ახდენენ ადამიანთა სოციო–ეკონომიკურ აქტივობებზე. ამ კონტექსტში, კურსის მიზანია გლობალური პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური პროცესების სივრცითი ორგანიზაციისა და მისი მრავალფეროვნების შესწავლა. ადამიანის საზოგადოებრივი საქმიანობის ლანდშაფტებისა და ამ საქმიანობის შედეგების ურთიერთკავშირისა და საცხოვრებელ გარემოსთან თანხვედრის გაცნობიერება.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ ძირითად თემებს: სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში; პოლიტიკა და თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური რუკა; ევროპის, აზიის, ამერიკის, აფრიკისა და ავსტრალიის სახელმწიფოები, მათი კლასიფიკაცია; მსოფლიოს მოსახლეობა-საზოგადოებრივი გეოგრაფიის ობიექტი და სუბიექტი; თანამედროვე მიგრაციული პროცესები: მიზეზები, ვექტორები, შედეგები; მსოფლიოს მოსახლეობის ეთნოლინგვისტური კლასიფიკაცია; ადამიანი და გეოგრაფიული გარემო; გლობალური ალიანსები; მსოფლიოს ეკონომიკა, ინოვაციები და გეოგრაფია; აგროკულტურა და გარემო; გლობალიზაცია და გლობალური პრობლემების გეოგრაფია.

ამდენად, ეს კურსი დაგეხმარებათ შეიცნოთ თანამედროვე მსოფლიო, რომელზედაც, რამდენად გასაოცარიც არ უნდა იყოს, ცოტა რამ ვიცით. დაიმახსოვრეთ, რომ თქვენ ამ მსოფლიოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენთ და ყოველდღიურ კავშირში ხართ მასთან, თუმცა შესაძლოა ამას არც აცნობიერებთ.

გთხოვთ დაივიწყოთ სტერეოტიპი, რომ გეოგრაფია ეს მხოლოდ რუკისა (თუმცა, რაღა თქმა უნდა ჩვენ გამოვიყენებთ რუკებს) და გეოგრაფიული სახელწოდებების ზეპირად დამახსოვრებაა! კურსის შესწავლისას თქვენ მოგეთხოვებათ არა მარტო ფაქტობრივი ინფორმაციის შესწავლა, დეფინიციების სწორად გაგება და გამოყენება, არამედ მასალის (ბეჭდვითი, ელექტრონული, სტატისტიკური,) ანალიზი, შედარებითი ანალიზი, კრიტიკული ანალიზი, დასკვნების გამოტანა, კლასიფიკაციების პირობოთობის გააზრება და თქვენეული კრიტერიუმების ჩამოყალიბება და დასაბუთება; რუკების გაანალიზება; ცხრილების, სქემების, დიაგრამების მართებულად წაკითხვა, შექმნა და გაანალიზება; გავეცნობით გის-ებს. გაითვალისწინეთ, რომ სახელმწიფოების, მათი დედაქალაქების, გლობალური ალიანსების, ასევე, სხვა უმნიშვნელოვანესი სახელწოდებებისა და ტერმინების ცოდნას მოვითხოვ ინგლისურ ენაზეც.

სწავლის შედეგი - კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტმა უნდა იცოდეს გეოგრაფიულ ტერმინთა დეფინიციები და მათი მართებული გამოყენება; აცნობიერებდეს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფიის ადგილს მეცნიერებათა სისტემაში; განსაზღვრავს კავშირურთიერთობებს პოლიტიკასა და თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური რუკას შორის; უნდა ახდენდეს ევროპის, აზიის, ამერიკის, აფრიკისა და ავსტრალიის სახელმწიფოების ცოდნის დემონსტრაციას და აყალიბებდეს მათ კლასიფიკაციას; შეუძლია მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში მოამზადოს რეფერატი, პრეზენტაცია; გაარჩიოს ქეისი; შეადგენოს და გაანალიზოს დიაგრამა, სქემა, ცხრილი; მოახდინოს არგუმენტირებული ოპონირების ილუსტრირება, ჩაერთოს დისკუსიაში; შეუძლია გეოგრაფიული ინფორმაციის/მასალის განმარტება, შეპირისპირება, შეფასება, განზოგადება, შედარება და დასკვნების გამოტანა; ინფორმაციის შეჯამება და რუკაზე იდენტიფიცირება;

8. ფილოსოფია

სასწავლო კურსის მიზანია - აღნიშნული კურსი ორიენტირებულია დაეხმაროს „სიბრძნის მოყვარულს“ ფილოსოფიური ცოდნის საფუძველზე გამოიმუშაოს განზოგადების, დამოუკიდებლად აზროვნებისა და ცხოვრებისეულ რთულ პრობლემებზე საკუთარი მოსაზრების გამოხატვისა და მსჯელობის უნარი, განავითაროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ანალიტიკური შეფასების უნარ-ჩვევები, ასწავლოს ახალგაზრდა თაობას ურთიერთობა, მიაჩვიოს დიალოგს; განუვითაროს განსხვავებული აზრის მოსმენის და გათვალისწინების კულტურა, მიმართოს მათი გონება ჭეშმარიტების ძიებისაკენ და არა მხოლოდ თვითდამკვიდრებისაკენ.

სასწავლო კურსის შინაარსი - აღნიშნულ კურსში ახსნილია ფილოსოფიური აზროვნების სპეციფიკა, განსაზღვრულია ფილოსოფიის საგანი, ძირითადი ცნებები და კატეგორიები, მსოფლმხედველობის არსი და ძირითადი მიზანი (ცხოვრების საზრისის გარკვევა), ყურადღება გამახვილებულია რელიგიისა და ფილოსოფიის ორგანულ კავშირზე, მსგავსება-განსხვავებაზე და მათ მნიშვნელობაზე ადამიანისათვის, სტუდენტებისათვის მიწოდებული ლოგიკის კურსი სტუდენტს აწვდის ლოგიკის საბაზისო ცნებებს, რაც საშუალებას აძლევს მათ აკონტროლონ აზროვნებისა და მეტყველების პროცესი, თავიდან აიცილონ ლოგიკური შეცდომები ან აღმოაჩინონ ისინი და შეასწორონ. და ბოლოს, ლოგიკა ასწავლის კამათის ხელოვნებას – ადამიანთა ინტელექტუალური ურთიერთობის მნიშვნელოვან სახეს, რაც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების – საკუთარი აზრის გამოთქმისა და დაცვის უფლების რეალიზების საშუალებას იძლევა.

სწავლის შედეგი - ფილოსოფიის საბაზისო ცნებების, უნივერსალური პრობლემებისა და საკითხების განსაზღვრა და განხილვა, რაც გულისხმობს განხვავებული, ხშირად ურთიერთსაპირისპირო თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ანალიზს, ფილოსოფიური და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად; შესწავლილი აქვს ლოგიკური აზროვნების ძირითადი კანონები, შეუძლია კამათის ზნეობრივ ჩარჩოებში წარმართვა და საკუთარი, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება.

9. ფსიქოლოგია

სასწავლო კურსის მიზანი - აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს ზოგადი განათლება ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების შესახებ, რაც თავის მხრივ, ითვალისწინებს როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ფსიქოლოგიური მიმდინარეობების ზოგადი საბაზისო ცნებების და ძირითადი თეორიების(დ.უზნამე; ზ.ფროიდი; კ.ხორნი; გ.იუნგი; ა.ადლერი) შესწავლას; სტუდენტები გაეცნობიან ფსიქიკის, ფსიქიკური პროცესებისა და პიროვნების ფსიქიკური თვისებების ზოგად კანონზომიერებებს, ლიდერობის სპეციფიკასა და ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის შექმნის თავისებურებებს; აგრეთვე ბიზნესის

ფსიქოლოგიის ისეთ საკითხებს, როგორცაა მარკეტინგისა და რეკლამის ფსიქოლოგია, ფულის ფსიქოლოგია, შრომის ბაზრისა და დასაქმების ფსიქოლოგია.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლა: ფსიქოლოგიური მეცნიერების თავისებურებები და განვითარების ძირითადი ეტაპები; უმაღლესი ფსიქიკური შემეცნებითი პროცესები და მათი ფსიქოლოგიური მახასიათებლები (შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, ემოციები, გრძნობები, წარმოსახვა, ნებისყოფა, ტემპერამენტი და ხასიათი); პიროვნების ფსიქოლოგიის კონცეფციები დიმიტრი უზნაძის, ზიგმუნდ ფროიდის, კარლ გუსტავ იუნგის, ალფრედ ადლერის და კარენ ხორნის თეორიების საფუძველზე; ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობები და არაცნობიერის ფსიქოლოგია; აგრეთვე სოციალური ფსიქოლოგიისა (ჯგუფში მიმდინარე პროცესები, ლიდერობის სპეციფიკისა და კონფორმულობის ცნების შინაარსი) და ბიზნეს ფსიქოლოგიის გარკვეული საკითხები (მარკეტინგისა და რეკლამის ფსიქოლოგია, ფულის ფსიქოლოგია, შრომის ბაზრისა და დასაქმების ფსიქოლოგია).

სწავლის შედეგი - სტუდენტს ეცოდინება ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების ისტორია, ჩამოთვლის და აღწერს უმაღლეს შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებს და მათ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, განსაზღვრავს პიროვნების ცნებას განსხვავებული თეორიების კონტექსტში, შეაფასებს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მნიშვნელობას სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, შეძლებს ამ დარგში არსებული როგორც თანამედროვე, ისე კლასიკური თეორიების პროფესიულ გარემოში გადატანას პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვით. ხელმძღვანელის დახმარებით შეძლებს მარტივი კვლევების დაგეგმვა/ჩატარებას და შედეგების შეფასება/ანალიზს. ამავე დროს მოამზადებს თეორიული ან პრაქტიკული ხასიათის დამოუკიდებელ სამუშაოს(მაგ. რეფერატი, მცირე ექსპერიმენტი, ტესტირება).

10. კულტუროლოგია

სასწავლო კურსის მიზანი - სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს ცოდნა კულტურის პრობლემათა რთული სპექტრისა და კულტუროლოგიის თანამედროვე ცნებითი აპარატის შესახებ, რაც გულისხმობს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა: კულტუროლოგიის საგანი და ამოცანები; კულტურის ცნების არსი და მისი გენეზისი; კულტურის ფილოსოფიის წარმოშობის ხელშემწყობი ფაქტორები; ცივილიზაციათა შეჯახება და კულტურათა დიალოგი; ძირითადი კულტუროლოგიური თეორიები(სუბკულტურა, ელიტარული კულტურა, მასკულტურა და სხვ); კულტურის გაგება სიცოცხლის ფილოსოფიაში; ადამიანი და კულტურა; კულტურა და გლობალიზაცია; კულტურის ტიპოლოგიური თეორიები(ჰეგელის, შპენგლერის, ვებერის, იასპერსის, ტონინის

და სხვ.); აგრეთვე ქართული კულტურა, კულტურის ტიპები და ქართული კულტურისა და ახლო აღმოსავლეთის კულტურის ურთიერთმიმართება.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსი ორიენტირებულია შეასწავლოს სტუდენტს კულტუროლოგიის ძირითადი ცნებები და ტერმინები: კულტურა, ღირებულება, ცივილიზაცია, სუბკულტურა, ელიტარული კულტურა, მასკულტურა, მარგინალური კულტურა, კონტრკულტურა, კრიმინალური კულტურა, აკულტურაცია, ასევე: ეროვნული /ნაციონალური/ კულტურა, ინტერნაციონალური კულტურა, კოსმოპოლიტური კულტურა; ერი და კულტურა; კულტურის ტიპოლოგიური თეორიები და ევროპული კულტურის ისტორიული ტიპები(ანტიკური, შუა საუკუნეების, რენესანსის, ახალი დროის ევროპული კულტურა, პოსტმოდერნული და ქართული კულტურა.)

სწავლის შედეგი - სტუდენტს შეუძლია აღწეროს და განსაზღვროს კულტურის გენეზისი, განმარტოს ცივილიზაციისა და კულტურის ურთიერთმიმართება, ჩამოთვალოს და აღწეროს კულტუროლოგიური ცნებები, ტერმინები და მათი გამოყენების პრინციპები და ხერხები. ამავე დროს ერთმანეთისაგან გამიჯნავს სუბკულტურას, ელიტარულ კულტურასა და მასკულტურას. დეტალურად განიხილავს ქართულ კულტურას და კულტურის ტიპებს, – დამოუკიდებლად ან სხვისი მინიმალური დახმარების პირობებში სტუდენტს შეუძლია თემებისა და პრობლემების შერჩევა, მათი აქტუალობის განსაზღვრა, კლასიფიცირება, მცირე კვლევის დაგეგმვა და მართვა. მართვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის საჭირო მეთოდების გამოყენება.

11. სოციოლოგია

სასწავლო კურსის მიზნები - მოცემულ კურსში სტუდენტი გაეცნობა სოციოლოგიის, როგორც საზოგადოებრივი (სოციალური) ურთიერთობების შემსწავლელ მეცნიერების არსს, შეისწავლის ემპირიული და თეორიული სოციოლოგიის საფუძვლებს; თანამედროვე სოციოლოგიის ძირითადი თეორიებს და კვლევის მეთოდებს; გაანალიზებს სოციალიზაციის რაობას გლობალიზირებად მსოფლიოში. სწავლების პროცესში სტუდენტი გამოიმუშავებს ემპირიული კვლევის უნარ-ჩვევებს, მონაცემთა ანალიზის უნარს. კურსის დასრულების შემდეგ ის შეძლებს სოციოლოგიური ხასიათის პროექტებში მონაწილეობას, საზოგადოების წინაშე არსებული სოციალური თუ სხვა სახის პრობლემების სოციოლოგიურ გააზრებასა და მათს გადაჭრაში ჩართვას, რაც კურსის შესწავლის ძირითად მიზანს შეადგენს.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად სტუდენტები შეისწავლიან სოციუმის (საზოგადოების) როგორც კონკრეტული სოციალური ორგანიზმის სტრუქტურას, განვითარების კანონზომიერებებს, სოციალიზაციის არსსა და მიზანს, გლობალიზაციის სოციოლოგიურ ასპექტებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მეთოდების გაანალიზებას

სწავლის შედეგი: გაღრმავებულად გაიცნობიერებს კვლევისა და გამოკითხვის სოციოლოგიურ მეთოდებს, განსაზღვრავს და გაანალიზებს ღია საზოგადოების ღირებულებებს, იმსჯელებს

და დაასაბუთებს სოციუმის ცხოვრებაში მისი დანერგვის მნიშვნელობას, მოახდენს სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების კლასიფიცირებას, ახსნის, შეაპირისპირებს და შეაფასებს მას, გამოიკვლევს სოციოლოგიურ პრობლემას. მოამზადებს პრაქტიკული ხასიათის პროექტს გამოკვლევისათვის წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

12. პოლიტოლოგია

საწავლო კურსის მიზანი - კურსის ამოცანაა სტუდენტს მიაწოდოს ფართო ცოდნა პოლიტიკის მეცნიერების სფეროში, გააცნოს პოლიტიკის, როგორც მეცნიერების არსი, მისი შესწავლის მიზნები და მეთოდები, თანამედროვე მსოფლმხედველობრივი თეორიები. სტუდენტი სწავლის პროცესში გაანალიზებს და შეაფასებს პოლიტიკისა და ეკონომიკური ცხოვრების ურთიერკავშირს, პოლიტიკური ლიბერალიზმის და თავისუფალი ბაზრის იდეის ურთიერთგანპირობებულობას. კურსის დასრულების შემდეგ ის დააკავშირებს პოლიტიკასა და ეკონომიკური პროცესებს ლიბერალურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობასთან; გაღრმავებულად გაიცნობიერებს სამოქალაქო (ღია) საზოგადოების ღირებულებებს და იაქტიურებს საკუთარ სოციუმში მისი დანერგვისათვის, რაც კურსის შესწავლის ძირითადი მიზანია.

სასწავლო კურსის შინაარსი – პოლიტოლოგია თავისი კვლევის ობიექტად აქცევს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: პოლიტიკა და ადამიანი; პოლიტიკური ურთიერთობები და პოლიტიკური ქცევა; პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური ცნობიერება, პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური ლიდერის კონცეფცია, პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართება, სახელმწიფოსა და ერის ურთიერთმიმართება, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, პოლიტიკა და თავისუფლება, ხელისუფლება და ძალაუფლება;

სწავლის შედეგი - შეიცნობს პოლიტიკის, პოლიტიკური პროცესების მართვის თავისებურებებს თანამედროვე მსოფლიოში, მის მჭიდრო კავშირს საბაზრო ეკონომიკასთან. დააკავშირებს თეორიულ პოლიტიკური კატეგორიებს პრაქტიკულ პოლიტიკურ ქმედებებთან.

13-16. ინგლისური ენის მოდული

13 უცხო ენა A 1+

სასწავლო კურსის მიზნები:

კურსი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს A1 beginner-დან A2 elementary დონეზე. მისი მიზანია სტუდენტს შეუქმნას საფუძველი უცხო ენის 4 ძირითადი უნარის (კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი) ჩამოყალიბებისთვის.

სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი: ისევე როგორც გრამატიკის (A1+) დონეს. იგი მოიცავს A1(beginner) დონის ელემენტებს იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც თავიდან იწყებენ ენის შესწავლას და წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს A2 elementary დონეზე. კურსი გვთავაზობს ინგლისური ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებასა და ინგლისურად მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. *გრამატიკაში* - ზედსართავი სახელის ხარისხები, ნაცვალსახელები, ზმნიზედები, თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები, დროითი ფორმები; მეტყველების ნაწილები და მათი კომუნიკაციაში გამოყენება. *კითხვაში*- ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, კითხვით ტექსტის სრულყოფას, თხრობის ჩვენების გაუმჯობესებას. *საუბარში*- შემდეგი თემების ირგვლივ (ოჯახი, ჰობი, კვება, საცხოვრებელი, სამუშაო) სასაუბრო უნარ-ჩვევების გადრმავეებას. *მოსმენაში*- მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის გაგებას და მისი შინაარსის გადმოცემას. *წერაში*- ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად სწორად ადამიანის საცხოვრებელის, ოჯახის, სამსახურის, ჰობის დახასიათებას, ამბის წერილობით გადმოცემას).

სწავლის შედეგი: ბაკალავრმა იცის ინგლისური ენა საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულ A1+ დონეზე, კერძოდ მან იცის: ელემენტარული ინტერაქციისათვის საჭირო საბაზისო ენობრივი ნორმები და კონსტრუქციები, იცის და გაცნობიერებული აქვს ინგლისური ენის კითხვის, წერის და წარმოთქმის ძირითადი წესები, იცნობს ორთოგრაფიულ წესებს და აკადემიური წერის საბაზისო ნორმებს, საყოფაცხოვრებო დონეზე კომუნიკაციისათვის საჭირო ფუნდამენტალურ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ და გრამატიკულ სტრუქტურებს.

14. უცხო ენა A2

სასწავლო კურსის მიზნები: წინამდებარე სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტი დაეუფლოს ინგლისური ენის ყველა უნარს (კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი) A2 დონეზე.

სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი: უცხო ენა Elementary (A2) - მოიცავს ენის სწავლების ოთხივე უნარის კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის Elementary (A2) დონეს. კურსი გვთავაზობს ინგლისური ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებასა და ინგლისურად მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. *გრამატიკაში* - ზედსართავი სახელის ხარისხები, ნაცვალსახელები, ზმნიზედები, წინდებულები, თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები, დროითი ფორმები; მეტყველების ნაწილები და მათი კომუნიკაციაში გამოყენება. *კითხვაში*- ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, კითხვით ტექსტის სრულყოფას, თხრობის ჩვენების გაუმჯობესებას. *საუბარში*- შემდეგი თემების ირგვლივ (ოჯახი, მეგობრობა, გარეგნობა, კვება, საცხოვრებელი, სამყარო) სასაუბრო უნარ-ჩვევების გადრმავეებას. *მოსმენაში*- მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის გაგებას და მისი შინაარსის გადმოცემას. *წერაში*- ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად სწორად ადამიანის გარეგნობის, ხასიათის, საცხოვრებელის დახასიათებას, ამბის თხრობას, არაოფიციალური წერილის წერას).

სწავლის შედეგი: ბაკალავრმა იცის ინგლისური ენა საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულ A2 დონეზე, კერძოდ მან იცის: ელემენტარული ინტერაქციისათვის საჭირო საბაზისო ენობრივი ნორმები და ლექსიკურ-გრამატიკული კონსტრუქციები, იცის და გაცნობიერებული აქვს ინგლისური ენის კითხვის, წერის და წარმოთქმის ძირითადი წესები და მასთან დაკავშირებული სპეციფიკა, იცნობს ორთოგრაფიულ წესებს და აკადემიური წერის საბაზისო ნორმებს, საყოფაცხოვრებო დონეზე კომუნიკაციისათვის საჭირო ფუნდამენტალურ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ და გრამატიკულ სტრუქტურებს.

15. უცხო ენა 1(B1.1)

სასწავლო კურსის მიზნები:

წინამდებარე სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს ინგლისური ენის ყველა უნარი (კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი) B 1.1 დონეზე (B1_საშუალო და B2_საშუალოზე მაღალ დონეების დამაკავშირებელი საფეხურის I ეტაპი).

სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი: კურსი მოიცავს ენის სწავლების ოთხივე უნარის კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის (B1.1) დონეს. კურსი გვთავაზობს ინგლისური ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებასა და ინგლისურად მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. *გრამატიკაში* - მოქმედებით და ვნებით გვარში ზმნების დროითი ფორმების განმტკიცებას, მეტყველების ნაწილების ფორმებსა და მათ კომუნიკაციაში გამოყენებას. *კითხვაში*- ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, კითხვით ტექსტის სრულყოფას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. *საუბარში*- შემდეგი თემების ირგვლივ (ოჯახი, მეგობრობა, გარეგნობა, კვება, საცხოვრებელი, სამყარო) სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავებას. *მოსმენაში*- მოსმენილი მასალიდან (დიალოგი, მონოლოგი, ინტერვიუ) ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის გაგებას და მისი შინაარსის გადმოცემას. *წერაში*- ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად ამბის სწორად გადმოცემას, ადამიანის გარეგნობის, ხასიათის, საცხოვრებელის დახასიათებას, არაოფიციალური წერილის წერას.

სწავლის შედეგი: ბაკალავრმა იცის ინგლისური ენა საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულ B1.1 დონეზე, კერძოდ მან იცის: თავისუფალი ინტერაქციისათვის საჭირო ენობრივი ნორმები და კონსტრუქციები, იცის და გაცნობიერებული აქვს ენობრივი სტილის თავისებურებები. იცის ამა თუ იმ სახეობის ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები, გამოთქმები, კლიშეები, ენობრივი კონსტრუქციები, მაკავშირებელი სიტყვები და გამონათქვამები, რომლებიც აუცილებელია წაკითხული/მოსმენილი ამბის, საკუთარი აზრის, დასკვნის სწორად ჩამოსაყალიბებლად.

16. უცხო ენა II(B1.2)

სასწავლო კურსის მიზნები:

წინამდებარე სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს ინგლისური ენის ყველა უნარი (კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი) B 1.2 დონეზე, რაც გახლავთ გარდამავალი ეტაპის მეორე საფეხური intermediate დონიდან upper intermediate დონეზე.

სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი: კურსი მოიცავს ენის სწავლების ოთხივე უნარის კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის B1.2 დონეს. კურსი გვთავაზობს ინგლისური ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებასა და ინგლისურად მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. *გრამატიკაში* - ზმნების უპირო ფორმების ფუნქციების გაცნობას, პირდაპირი და ირიბი ნათქვამის სწავლებას, პირობითი წინადადებების გაცნობას. *კითხვაში*- ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, კითხვით ტექსტის სრულყოფას, თხრობის ჩვენების გაუმჯობესებას. *საუბარში*- შემდეგი თემების ირგვლივ (ქალაქები, ჯანმრთელობა, საყიდლებზე წასვლა, ტელევიზია, ბუნება და გარემო) სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავებას. *მოსმენაში*- მოსმენილი მასალიდან (დიალოგი, მონოლოგი, ინტერვიუ) ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის გაგებას და მისი შინაარსის გადმოცემას. *წერაში*- ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად ოფიციალური წერილისა და CV-ს, სტატიისა და რეცენზის წერას.

სწავლის შედეგი: ბაკალავრმა იცის ინგლისური ენა საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულ B1.2 დონეზე, კერძოდ მან იცის: ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და გრამატიკული კონსტრუქციები, რაც საჭიროა სხვადასხვა ცხოვრებისეულ გარემოში სწორი ენობრივი ინტერაქციისათვის, გაცნობიერებული აქვს სხვადასხვა ენობრივი კლიშეების კონტექსტუალურად სწორი გამოყენების აუცილებლობა მონოლოგიური თუ დიალოგიური კომუნიკაციის წარმოებისას. იცნობს აკადემიური წერის ფუნდამენტალურ ნორმებს, გაცნობიერებული კვს სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაციის განსხვავებული სტილი და სპეციფიკა.

მიმართულების სასწავლო კურსების მოდული

სავალდებულო სასწავლო კურსები

17. მიკროეკონომიკის პრინციპები

სასწავლო კურსის მიზანი შეასწავლოს სტუდენტებს მიკროეკონომიკის საბაზისო თეორიები; ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ფართო ეკონომიკური აზროვნება, შეასწავლოს მათ

მიკროეკონომიკური ანალიზის საბაზისო ინსტრუმენტების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის პროცესში.

სასწავლო კურსის შინაარსი. კურსი მოიცავს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორებიცაა: საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპები; ეკონომიკური რესურსები, ეკონომიკურ სისტემათა ტიპების დახასიათება; მოთხოვნა-მიწოდების თეორიული საფუძვლები, საფასო ელასტიურობის კონცეფციები; წარმოების ფაქტორთა ბაზრების დახასიათება; მომხმარებლები მწარმოებლები. ბაზრის ეფექტიანობა, მომხმარებელი დანაზოგი, მწარმოებლის დანაზოგი; მონოპოლია; მონოპოლიური ბაზარი, მონოპოლიის დანაკარგები, ფასების ზრდა; ოლიგოპოლია; ოლიგოპოლიური გაერთიანებები, კარტელი, წარმოების ფაქტორთა ბაზრები; საწარმოო ფუნქცია და შრომის ზღვრული პროდუქტი, შრომაზე მოთხოვნის მრუდების გადაადგილების მიზეზები

სწავლის შედეგი. იცის მოთხოვნისა და მიწოდების საბაზისო კანონები, არასაფასო ფაქტორებით გამოწვეული წონასწორული მდგომარეობის ცვლილებები და აცნობიერებს მათ შესაძლო შედეგებს, შესაბამისი მონაცემების არსებობის პირობებში შეუძლია ელასტიკურობის კოეფიციენტის, წარმოების დანახარჯების, მომხმარებლისა და მწარმოებლის ნამეტებისა და სხვა მიკროეკონომიკური პარამეტრების გაანგარიშება; შეუძლია მიკროეკონომიკური პრობლემების შეფასება ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით.

18. მაკროეკონომიკის პრინციპები

სასწავლო კურსის მიზანი: კურსის სწავლების მიზანია სტუდენტებმა მიიღონ თანამედროვე მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების შესახებ ფართო თეორიული ცოდნა და შეძლონ მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესებზე დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნების გაანალიზება;

სასწავლო კურსის შინაარსი: კურსი ორიენტირებულია მაკროეკონომიკის ძირითადი პრინციპებისა და პრობლემების, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაცნობიერებაზე. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის თვისებურებების შემეცნებაზე, უმუშევრობისა და ინფლაციის აქტუალური საკითხების წარმოდგენასა და განხილვაზე. იგი შეისწავლის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ურთიერთდამოკიდებულება და ვაჭრობის მომგებიანობა. ალტერნატიული დანახარჯი და შედარებითი უპირატესობა, აბსოლუტური უპირატესობის კონცეფცია; ღია ეკონომიკის მაკრაეკონომიკა. ნეტო ექსპორტი და მასზე მოქმედი ფაქტორები, დანაზოგებისა და ინვესტიციების ზრდის წინაპირობები;

სწავლის შედეგი: სტუდენტს გააჩნია, მაკროეკონომიკური ინდიკატორების ფართო ცოდნა და ამ ფაქტორთა ცვლილების მიზეზები დინამიკაში; მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი ასპექტები; ფასების არასტაბილურობის, უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის ნეოკეინზიანური და ნეოკლასიკური სინთეზის საბაზისო თეორიები; შეუძლია ახსნას მაკროეკონომიკური საბაზისო მაჩვენებლების

ცვლილებების მიზეზები; შეაფასოს პოზიტიურ და ნეგატიურ ცვლილებებზე მოქმედი ფაქტორები;

19. ბიზნესის საფუძვლები

სასწავლო კურსის მიზანი: კურსის მიზანია ფართო ცოდნა, და მსოფლმხედველობა ჩამოყალიბოს სტუდენტებს თანამედროვე ბიზნესის შესახებ.

სასწავლო კურსის შინაარსი-სასწავლო კურსი „ბიზნესის თეორია“ არის ზოგადი და ამავდროულად კონკრეტდება ცალკეული პრობლემატიკის მიხედვით, იგი ორიენტირებულია ისეთი საკითხების შესწავლაზე როგორცაა: თანამედროვე ბიზნესის პრობლემები, ადამიანური რესურსების მართვა ბიზნესში, ბიზნეს ინფრასტრუქტურა და ბიზნეს გარემო, ბიზნეს-მარკეტინგი და ბიზნესის ინსტრუმენტები; ბიზნესის ორგანიზაციული სტრუქტურები; მცირე ბიზნესის მხარდაჭერა და ფინანსირების წყაროები; ბი-ნესის ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობა; კომუნიკაციები ბიზნეს ადმინისტრირებაში; ბიზნესი და ინვესტიციები; ბიზნესის ადმინისტრირების ინფორმაციული უზრუნველყოფა; ბიზნესი და გადასახადები; ბიზნესის ეფექტიანობის მართვა და სხვა.

სწავლის შედეგი: აქვს ბიზნესის თეორიული საფუძვლების ფართო ცოდნა; ბიზნესის სახეებისა და ფორმების ფართო ცოდნა; აცნობიერებს ბიზნესის, მეწარმეობისა და კომერციის არსს; იცის მათ შორის განსხვავებები; იცის არაკომერციული ბიზნესის საბაზისო ელემენტები; შეუძლია ბიზნეს იდეის ჩამოყალიბება და მინიმალური მითითებების საფუძველზე, ეკონომიკის კონკრეტულ დარგში ბიზნესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განსაზღვრა; მინიმალური მითითებების საფუძველზე შეუძლია ბიზნესის ფინანსურ რესურსების საბაზისო მაჩვენებლების განსაზღვრა;

20. მენეჯმენტის საფუძვლები

სასწავლო კურსის მიზანი: სტუდენტები დაეუფლონ თანამედროვე მენეჯმენტის ფუძემდებლურ პრინციპებს და მიიღონ ფართო ცოდნა თანამედროვე ორგანიზაციების მართვის საკითხებში და კონკურენტულ გლობალურ ბაზარზე პოზიციონირების ელემენტებში.

სასწავლო კურსის შინაარსი. კურსი „მენეჯმენტის თეორია“ მოიცავს მართვის თეორიის, პრაქტიკისა და ხელოვნების საკითხებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არსებულ მართვის დონეებს შორის ურთიერთობებს, მართვის ფუნქციებს. სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: მენეჯმენტის პროცესის, მენეჯმენტი გლობალურ სამყაროში, რას წარმოადგენენ მეწარმეები და მენეჯერები; გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვა-სტრატეგია-ცვლილებები, ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების, კონტროლის და კორპორაციული კულტურის, მოტივაციის,

ლიდერობის, ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის და კომუნიკაციის ძირითადი საკითხები; გუნდური მუშაობის ეფექტური მართვა; გადაწყვეტილების მიღება, სწავლება, შემოქმედებითი პროცესი და სიახლეები; დაგეგმვა, სტრატეგია და ცვლილებები; გუნდური მუშაობის ეფექტური მართვა და სხვა.

სწავლის შედეგი: მინიმალური ზედამხვედველობის პირობებში გააჩნია: მონაცემთა შეფასებისა და ანალიზის უნარი; ბიზნეს გარემოსთან ადაპტირების უნარი; კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირების უნარი; კომპანიის მართვის სისტემის საბაზისო ელემენტების დადგენის უნარი; ფორმალური და არაფორმალური სტრუქტურების განსაზღვრის უნარი; შეუძლია კონტროლის ძირითადი ელემენტების პრაქტიკაში გამოყენება; მინიმალური ზედამხვედველობის პირობებში შეუძლია დაგეგმვისა და კოორდინირების პროცესში მონაწილეობის მიღება; შეუძლია დელეგირების პროცესში მონაწილეობის მიღება.

21. მარკეტინგი

სასწავლო კურსის მიზანი კურსის შესწავლის მიზანია ფართოდ შეისწავლოს მარკეტინგის თეორიული ასპექტები და კონცეფციები; დაეხმაროს სტუდენტებს მარკეტინგის ინსტრუმენტების დაუფლებასა და მისი პრინციპების პრაქტიკაში გამოყენებაში.

სასწავლო კურსის შინაარსი– ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანისასწავლო კურსია, რომელსაც როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. საბაზრობითი თეორიების ფორმირებისა და განვითარების პირობებში მარკეტინგი ეს არის წარმოებისა და გასაღების მართვის შედეგებით ახალი კონცეფცია, რომელიც გამოიმუშავა მსოფლიო პრაქტიკამ.

კურსი შეისწავლის ისეთ საკითხებს როგორებიცაა: მარკეტინგის წარმოშობა და ევოლუცია;

მარკეტინგის ძირითადი პრინციპები, ფუნქციები და ამოცანები; მარკეტინგის სახეები და ტიპები; მარკეტინგის განვითარების თავისებურებები და ძირითადი მიმართულებები საქართველოში და თანამედროვე მსოფლიოში; მარკეტინგის მართვის ძირითადი კონცეფციები; მარკეტინგის მართვის პროცესის ძირითადი ეტაპები, საბაზრო შესაძლებლობების ანალიზი, მიზნობრივი ბაზრის შერჩევა; მარკეტინგის კომპლექსის დამუშავება, მარკეტინგული სამსახურის სტრუქტურული ორგანიზაცია;

ბაზრის სეგმენტაციის სახეები და ძირითადი კრიტერიუმები; ბაზრის სეგმენტაციის პრინციპები; მიზნობრივი ბაზრის შეფასება და შერჩევა; მარკეტინგი და ფასწარმოქმნის სისტემა და სხვა.

სწავლი შედეგი– შეუძლია მარკეტინგული კონცეფციების პრაქტიკაში ფართოდ გამოყენება; შეუძლია პროდუქციის ფასწარმოქმნის სტრატეგიაში მონაწილეობის მიღება; ფართოდ ფლობს მარკეტინგული გარემოს ძირითად ელემენტებს და შეუძლია მათი პრაქტიკაში გამოყენება; შეუძლია ფასწარმოქმნის სტრატეგიების შერჩევასა და მარკეტინგული პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

22. ბუღალტრული აღრიცხვა

სასწავლო კურსის მიზანი – კურსის მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების ფართო ცოდნის შექმნა.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: ბუღალტრული ბალანსი, ორადი ასახვა, ბუღალტრული გატარებები, გრძელვადიანი აქტივების და ცვეთა/ამორტიზაციის აღრიცვა, ვალდებულებები და კაპიტალი; ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები; ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ; ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება; საბუღალტრო პროგრამა ORIS-ის გამოყენებით.

სწავლი შედეგი – აცნობიერებს ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურებებს და საჭიროებას თანამედროვე კომპანიებში; გააჩნის საბუღალტრო დოკუმენტების შედგენის ფართო ცოდნა; მოგება-ზარალის ბალანსის და ფულადი სახსრების მოძრაობის ფართო ცოდნა; შეუძლია ძირითადი საშუალებების, მარაგების და არამატერიალური აქტივების შეფასების/ცვეთის ფართო ანალიზი; სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტების გამოყვანის ანალიზი; საბუღალტრო პროგრამა ORIS-ის გამოყენება კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვაში.

23. ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება

სასწავლო კურსის მიზანი. კურსის მიზანია სტუდენტებმა მიიღონ შესაბამისი ცოდნა ბიზნესის სამართლებრივი მართვის ძირითადი პრინციპების თაობაზე; ჩამოუყალიბოს სტუდენტებს სამეწარმეო საქმიანობაში სამართლებრივად სწორი მოქმედებების, უფლებებისა და მოვალეობების აღქმისა და გააზრების უნარ-ჩვევები და მსოფლმხედველობა;

სასწავლო კურსის შინაარსი. სასწავლო კურსი „ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება“ არის ზოგადი და ამავდროულად პრაქტიკულად გამოყენებადი დისციპლინა, რომელიც კონკრეტდება ცალკეული საკანონმდებლო ნორმების მიხედვით. ის შედგება რამდენიმე თემატური ბლოკისაგან:

- სამეწარმეო სამართალი
- სამოქალაქო „ვალდებულებითი“ სამართალი
- სახელშეკრულებო სამართალი

თითოეული თემატური ბლოკი შედგება ცალკეული საკითხის როგორც თეორიული ისე პრაქტიკული სხვადასხვა ფორმატის საკითხებისგან. სასწავლო დისციპლინის პირველი ბლოკი - სამეწარმეო სამართალი მოიცავს სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ - სამართლებრივ ფორმებს. მათ განსაზღვრებას, სამეწარმეო საქმიანობის ცნების, მეწარმეობის თავისუფლების, უფლებებისა და ვალდებულებების, მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობის კანონის ნორმათა განმარტებას. შეისწავლის საწარმოს წარმოშობის (შექმნის)

რეგისტრაციის, სახელწოდების, დამფუძნებელთა (აქციონერთა, მეპაიეთა, კომანდიტების, კომპლემენტარების) ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (დირექტორის, პროკურისტის, სამეთვალყურეო საბჭოს) პირების მოვალეობასა და პასუხისმგებლობას. საგნის მეორე და მესამე ბლოკი - ვალდებულებითი სამართალი, რომლის ძირითადი ნაწილია სახელშეკრულები სამართალი. სამეწარმეო საქმიანობა წარმოუდგენელია სახელშეკრულები ურთიერთობების და მისგან წარმოქმნილი ვალდებულებებისა და უფლებების გარეშე. საგანი შეისწავლის მეწარმე სუბიექტების კანონით მონიჭებულ უფლებას, დადონ ხელშეკრულები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებების შინაარსი. პრაქტიკულ მეცადინეობებზე ყურადღება დაეთმობა სტანდარტული ხელშეკრულებების შედგენას, ამასთან კანონით დადგენილ სპეციალური ნორმების გამოყენებით არასტანდარტული ხელშეკრულებების შემგვები წესების დადგენას. შესწავლის საგანია, აგრეთვე ხელშეკრულების ვალდებულებების არსი და სტრუქტურა, მისი წარმოშობის და შემდგომი შესრულების უზრუნველყოფის სამართლის საფუძვლები. ზიანის ანაზღაურება, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება და სხვა.

სწავლის შედეგი. ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების ძირითადი საკანონმდებლო ნორმების ცოდნა; ბიზნესის დაწყების, წარმოების და მოქმედებათა სამართლებრივი ტერმინოლოგიის ცოდნა; „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმების ცოდნა; სამეწარმეო სუბიექტად შექმნის, სამართლებრივ სივრცეში თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გენერირების უნარი; სამეწარმეო საქმიანობაში საკანონმდებლო ნორმის მოთხოვნათა პრაქტიკული გააზრების უნარი; ეკონომიკის კონკრეტულ დარგში ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შერჩევა და დაფუძნება; საწარმოს წესდების, კრების ოქმის, ბიზნეს წინადადების, ხელშეკრულების ოფერტის დაგეგმვის/შედგენის უნარი; ფლობდეს სამართლებრივად უნაკლო და თანმიმდევრული ღონისძიებათა შემუშავების უნარ-ჩვევებს.

24. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში

სასწავლო კურსის მიზანი: ეკონომიკის და ბიზნესის სფეროში მოღვაწე ბიზნესმენტთა, ეკონომისტთა და მენეჯერთა საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება მოცემულ სფეროში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებზე სწორი მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებას. ასეთი სახის გადაწყვეტილებების მიღება კი შეუძლებელია სტატისტიკური მეცნიერების ფართო ცოდნის გარეშე. სასწავლო კურსის მიზანია:

- დაეხმაროს სტუდენტებს ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენაში;
- აათვისებინოს სტუდენტებს ეკონომიკასა და ბიზნესის სფეროებში სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარების ეტაპები და ფართოდ შეასწავლოს სტატისტიკური გამოკვლევის ჩატარების მეთოდები;

- დააუფლოს სტუდენტები მიმდინარე მოვლენების სტატისტიკური ანალიზის ზოგადი მეთოდების განხორციელებასა და სტატისტიკური კანონზომიერებების გამოვლენაში .

სასწავლო კურსის შინაარსი—სასწავლო კურსი ორიენტირებულია სტატისტიკის, როგორც ბუნებასა და საზოგადოებაში მიმდინარე მასობრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი პარამეტრების დადგენის თანამედროვე უნივერსალური სისტემის უახლესი მეთოდების შესწავლასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე. ამ მიზნით მასში განიხილება სტატისტიკის მეცნიერებასა და პრაქტიკაში გამოყენებული ძირითადი დეფინიციები, სტატისტიკური ერთობლიობისა და სტატისტიკური კანონზომიერების ცნებები, დიდ რიცხვთა კანონის მოქმედების არეალი სტატისტიკური კანონზომიერებების დადგენაში; სტატისტიკური გამოკვლევის ძირითადი ეტაპები სტატისტიკური დაკვირვების, მონაცემთა თავმოყრისა და დაჯგუფების, სტატისტიკურ მაჩვენებელთა გრაფიკული გამოსახვის, აბსოლუტურ, შეფარდებით და საშუალო მაჩვენებლების გაანგარიშების თეორიული და პრაქტიკული საკითხები ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების დახასიათებისას. ვარიაციის, დინამიკის, მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის, შერჩევითი სტატისტიკური დაკვირვების და საინდექსო მეთოდების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროებში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენისას.

სწავლის შედეგი – სტუდენტმა იცის სტატისტიკური კვლევის საბაზისო მეთოდები

და სტატისტიკური კვლევის ეტაპები; მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის

თანამედროვე რაოდენობრივი მეთოდები სტატისტიკური კანონზომიერებები;

შეუძლია – კვლევის შედეგების კომპლექსური წარმოდგენა და სწორი ინტერპრეტაცია; ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროებში ჩატარებულ საბაზისო კვლევებში სტატისტიკური მეთოდების უნარ–ჩვევების გამოყენება;

25. საერთაშორისო ბიზნესი

1. **სასწავლო კურსის მიზანი** საგნის შესწავლის ძირითადი მიზანია, საერთაშორისო ბაზარზე ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად სტუდენტები ფართოდ და საფუძვლიანად დაეუფლონ საერთაშორისო ბიზნესის განვითარების თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლებსა და საქმიანი ურთიერთობების განხორციელების ტექნოლოგიებს;

სასწავლო კურსის შინაარსი –სასწავლო კურსი შეისწავლის საერთაშორისო ბიზნესის არსს, პრინციპებსა და ფუნქციებს, თავისებურებებსა და ფორმებს, სახეებსა და მეთოდებს, ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნებისათვის უცხო ქვეყნის ბიზნეს გარემოს სამართლებრივი, ეკონომიკური, კულტურული ფაქტორების ანალიზისა და შეფასების, რისკ ფაქტორების გამორიცხვის ზოგად პრინციპებს; აგრეთვე ვაჭრობის თეორიებს და საერთაშორისო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურას, საერთაშორისო ვალუტის ევოლუციის

ეტაპებს, სავალუტო კურსის სახეებსა და ვალუტის კოტირების მექანიზმებს; საერთაშორისო ბიზნესის წარმოების საერთაშორისო სამართლებრივ საფუძვლებს, მსოფლიო ფინანსური ბაზრის განვითარების თავისებურებებს; ინტეგრაციულ პროცესებს, მის დადებით და უარყოფით შედეგებს; უცხოურ ინვესტიციებს და მისი ეფექტიანობის საკითხებს; სტრატეგიული ალიანსებისა და ქვეყანათა სკალირების პრინციპებს.

სწავლის შედეგი - ფართოდ იცის საერთაშორისო ბიზნესის განვითარების თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები – არსი, პრინციპები, ფუნქციონირების თავისებურებები და განხორციელების მეთოდები; საერთაშორისო სასაქონლო, საინვესტიციო, სავალუტო-საკრედიტო პოლიტიკის ელემენტები, საფინანსო ბაზრები და მათი ფუნქციონირების მექანიზმები, საერთაშორისო სავაჭრო თეორიები და მათი თავისებურებები; კომპეტენციების ფარგლებში შეუძლია – მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში საგარეო ვაჭრობის თეორიების კომპლექსურად და ეფექტიანად გამოყენება; უცხოური ინვესტიციების შედეგების არგუმენტირებული დასაბუთება კომპანიათა განვითარებაში; დონორი და რეციფიენტი ქვეყნების პრიორიტეტების განსაზღვრა; კომპანიათა ალიანსების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; საერთაშორისო ბაზარზე გასვლის სტრატეგიის შერჩევაში მონაწილეობის მიღება; პარტნიორი ქვეყნის შერჩევაში მონაწილეობის მიღება.

26. ოპერაციული მენეჯმენტი

სასწავლო კურსის კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტებისათვის წარმოების ძირითადი პროცესების ტექნოლოგიების ფართოდ ფლობა და ოპერაციათა მართვის ეფექტიანი სტრატეგიის შესწავლა კომპანიის წარმატებისათვის.

სასწავლო კურსის შინაარსი სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: საწარმო-ოპერაციათა მენეჯმენტის არსი და ამოცანები; ახალი პროდუქტის დაგეგმვა; განლაგების სტრატეგია; წარმოების ორგანიზაციის სტრატეგია; საწარმოო დაგეგმვა; დაგეგმვის კომპლექსური სისტემები; საწარმოო პროცესის სტრატეგია; კომპანიის ოპერაციათა მართვა BSC კონცეფციის ბაზაზე; პროდუქტისა და მომსახურების პროცესის დამუშავება; ხარისხის მართვა და „ბენჩმარკინგი“ და სხვ.

სწავლის შედეგი - იცის წარმოების „ფასეულობათა ჯაჭვის განსაზღვრა; წარმოების პროცესის დაგეგმვასა და მართვაში მონაწილეობის მიღება, გააჩნია პროდუქტის წარმოების ოპერაციული სისტემის ძირითადი პარამეტრების კომპილაციის უნარი; შეუძლია ოპერაციათა და პროცესების მართვის, რეგულირებისა და დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის მიღება;

27. მეწარმეობის ეკონომიკა და მართვა

სასწავლო კურსის მიზანი კურსის მიზანია სტუდენტებმა მიიღონ შესაბამისი ფართო ცოდნა მეწარმეობის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მეწარმეობის არსი და ბუნება; წარმოების მართვის ეკონომიკური ბერკეტები. საწარმოს მეცნიერულ ტექნიკური პროგრესი და

პროდუქციის ხარისხი; საწარმოს მართვა და წარმოებითი პროცესის დაგეგმვა; სამეწარმეო რესურსები და მისი გამოყენების ეფექტიანობა;

სასწავლო კურსის შინაარსი - კერძოდ, კურსში შეისწავლება: მეწარმეობის არსი, სახეები და ფორმები; სამეწარმეო სტრუქტურების მარა და რეგულირება; მეწარმეობის ეკონომიკა და სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი; პროდუქციის ხარისხი და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა; საწარმოს რესურსები და მისი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა; შრომის ანაზღაურება- ფორმები და მეთოდები; სამეწარმეო კონკურენცია; სამეწარმეო კულტურა; საწარმოს გარდაქმნა;

სწავლის შედეგი- გააჩნია მეწარმეობის ეკონომიკური ბერკეტების ფართო ცოდნა - ფასები, ხარისხი, მოგება, დანახარჯები და რენტაბელობა; აცნობიერებს წარმოებისა და სამეწარმეო კულტურის მოთხოვნებს; პროდუქციის მოთხოვნის რაოდენობის, ფასების, კონკურენციის, ხარისხის, მოგების, დანახარჯებისა და რენტაბელობის, გაანგარიშების შედეგის ზოგად ტექნოლოგიას და სპეციფიკას; შეუძლია გაკოტრების ალტერნატივების პრაქტიკაში გამოყენება; მისი კომპეტენციების ფარგლებში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საწარმოთა შერწყმის და სანაციის პროცესებში; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია – საწარმოს მართვის მეთოდებისა და ფორმების კომბინირებული გამოყენება; წარმოების ორგანიზაციული ფორმების ეფექტიანად გამოყენება;

28 . ბიზნესის ანალიზი და პროგნოზირება

სასწავლო კურსის მიზანი - დისციპლინა ორიენტირებულია ბიზნესის ანალიზის და პროგნოზირების, როგორც სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლების შესწავლაზე. მისი შესწავლის მიზანია ბიზნესის ანალიზისა და პროგნოზირებაში გამოყენებული მეთოდებისა და მიდგომების ფართო შესწავლა.

სასწავლო კურსის შინაარსი -სასწავლო კურსის პროცესში სტუდენტი გაეცნობა საჭირო ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, სისტემატიზაციის, განზოგადებისა და ანალიზის მეთოდებს; შეისწავლება ბიზნეს-ანალიზის ტიპოლოგია და მეთოდები; ანალიზში გამოყენებული ძირითადი მაჩვენებლები და ინდექსები;

კურსი მოიცავს პროგნოზირების პრინციპებსა და ელემენტებს; პროგნოზირების პროცესი; ბიზნესის პროგნოზის აგების ეტაპები; პროგნოზირების ობიექტების კლასიფიკაცია. ექსტრაპოლაციის მეთოდების არსი და გამოყენება; განხილული იქნება პროგნოზირების კონკრეტული მეთოდები – ექსტრაპოლაცია, ფაქტოგრაფიული მეთოდები, ინტუიციური მეთოდები პროგნოზირებაში, ბიზნესის საპროგნოზო მოდელები; სტუდენტები შეისწავლიან პროგნოზების აგებას უმცირეს კვადრატთა მეთოდით, მცოცავი საშუალოს მეთოდით და ექსპონენციალური მოსწორების გზით. ექსპერტულ შეფასებების მეთოდის არსი; ინდივიდუალური ექსპერტული შეფასებების მეთოდი; კოლექტიური ექსპერტული შეფასება; დელფის მეთოდი; სისტემა **PATERN**. საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზები, დარგობრივ მაჩვენებელთა პროგნოზირება. მოდელირება, როგორც ბიზნესის კვლევის

ხერხი;ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები ბიზნესის პროგნოზირებაში. მაკროეკონომიკური პროგნოზირება და გლობალური საპროგნოზო მოდელები. პროგნოზების სიზუსტის შეფასების მეთოდები. პროგნოზების შეფასების კრიტერიუმები და კოეფიციენტები.

სწავლის შედეგი - აცნობიერებს პროგნოზირების არსს და მნიშვნელობას თანამედროვე ეკონომიკაში; შეუძლია ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის სწორი მეთოდოლოგიის შერჩევა; გააჩნია ბიზნესის სფეროს კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ეკონომიკურ მოვლენათა და პროცესთა ანალიზის და პროგნოზის და მათი გამოყენების ფართო ცოდნა; შეუძლია გააზრებული, კომბინირებული გადაწყვეტილების მიღება.

29. ბიზნესის ეთიკა

სასწავლო კურსის მიზანი: სასწავლო კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტმა უნდა: აითვისოს ეთიკის მეცნიერების განვითარების ეტაპები და მათი სახესხვაობანი. შეიძინოს სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის და მისი ეთიკურ სამართლებრივი ანალიზის ჩვევა. გამოიმუშაოს შესწავლილი მასალის რეფერატული სახით გადმოცემის უნარი. შეძლოს ჩამოაყალიბოს და დაიცვას საკუთარი, თუნდაც გაბატონებული პოზიციისაგან განსხვავებული შეხედულებები და წარმართოს დისკუსიები; მოძებნოს ახალი არაორდინალური, ეფექტური გადაწყვეტილებები. განავითაროს საზოგადოებრივ ცხოვრებასი მიმდინარე პროცესების ანალიტიკური შეფასების უნარ-ჩვევები. დახვეწოს თავაზიანი ქცევის ზოგადმიღებული ნორმები და პრინციპები. დაეუფლოს მოლაპარაკებათა წარმართვის სტრატეგიებს, უცხოელთა მიღების ფორმებს და ა. შ.

სასწავლო კურსის შინაარსი: „ბიზნესის ეთიკა“ განიხილავს იმ ფუნდამენტურ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ადამიანის მიღვაწეობის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველი და საინტერესო სფეროს ბიზნესის წარმოებისთვის. ასე მაგალითად: „ბიზნესის ეთიკა“ იკვლევს ეთიკის როგორც მეცნიერების თავისებურებებს, მის სახესხვაობებს. შემთხვევითი და ობიექტურად აუცილებელი ასპექტების როლს სამყაროსეული კანონების უნივერსალურ ხასიათში. მეცნიერული თეორიების უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს (მათი განმარტების სისტემის ლოგიკური საფუძველი, მათი ემპირიული შინაარსი, კონცეპტუალური ან თვალსაჩინო - ემპირიული მასალა და ა. შ.). ზნეობის ფილოსოფია აყენებს მაგალითად ასეთ საკითხებს: მორალური პრობლემების განსჯის დროს რას ფიქრობენ და როგორ იქცევიან ადამიანები. რა ხდება ამ დროს მათ სულიერ სამყაროში. ამ საკითხებზე პასუხის გასაცემად „ბიზნესის ეთიკა“ სწავლობს სხვადასხვა თეორიებს, რომლებიც კაცობრიობის არსებობის მანძილზე თავისებურად ხსნიდნენ და აყალიბებდნენ სამართლის ბუნებას. აღნიშნული კურსის შესწავლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თავაზიანი ქცევის „ოქროს წესს“, დიპლომატიურ საქმიანობას, კორესპოდენციებს, იმიჯს, საკუთარი თავის ფლობის ხელოვნებას, ადამიანთა ტიპოლოგიებს, ქცევის კულტურის მაგიურ ფორმულებს, მაღალი საზოგადოების ეტიკეტსა და ეროვნულ თავისებურებებს, რათა შემდგომში სტუდენტმა პრაქტიკულად გამოიყენოს აღნიშნული პრობლემების ეთიკურ-სამართლებრივი ანალიზი.

სწავლის შედეგი: სტუდენტი შეძლებს მეცნიერული დასაბუთება მისცეს ადამიანთა და ხალხთა შორის ჰუმანური ურთიერთობების, მათი შემოქმედებითი, თავისუფალი და დემოკრატიული ცხოვრების აუცილებლობას; ქვეყანაში დემოკრატიული, თავისუფალი, ჰუმანური, და ტოლერატული საზოგადოების აშენების პერსპექტივას; ადამიანის ყოფიერების, საზოგადოების, ბუნებისა და მათი ურთიერთმიმართების ზოგადი კანონზომიერებების დადგენას.

30. ბიზნესის მოდელირება

სასწავლო კურსის მიზანი – დისციპლინის სწავლების მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ კვლევის ისეთი უნივერსალურ მეთოდს, როგორცაა მოდელირების მეთოდი. შეასწავლოს მათ მონაცემთა საბაზისო, წინასწარი ანალიზი ეკონომიკურ მოვლენათა და პროცესთა კანონზომიერებების გამოსავლენად.

სასწავლო კურსის შინაარსი: ეკონომიკურ მოვლენათა და პროცესთა შეფასებისათვის აუცილებელია მათი განვითარების ტენდენციების და კანონზომიერებების გამოვლენა და პროგნოზირება. საგნის შესწავლის პროცესში შესწავლილი იქნება მონაცემთა ანალიზის ელემენტები, მონაცემთა ინტერპრეტაციის, შეფასების, დამუშავებისა და შენახვის მეთოდოლოგიური საკითხები, მოდელირების პროცესის არსი, მოდელირების ეტაპები. შეისწავლება აგრეთვე ალბათობის თეორიის ელემენტები: ხდომილების ცნება, განაწილების ცნება და სახეები; სპეციალური განაწილებები. შემთხვევითი სიდიდის ცნება, შემთხვევითი სიდიდის მახასიათებლები და მათი გაანგარიშება. შეისწავლება კომპიუტერული მოდელირების მეთოდები.

სწავლის შედეგები: გააჩნია ფართო ცოდნა მონაცემების ანალიზის მეთოდების, წარმოდგენის სახეების და მოდელირების პრინციპების ირგვლივ. აცნობიერებს მონაცემთა ანალიზის ფართო მეთოდოლოგიას და მოდელირების აუცილებლობას ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკური კვლევების სფეროში. მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია ბიზნეს-მონაცემთა კომპლექსური ანალიზი და ინტერპრეტაცია, მოდელირების კონკრეტული ინსტრუმენტის შერჩევა და რეალიზაციაში მონაწილეობის მიღება.

31. მონაცემთა ბაზის საინფორმაციო სისტემები

სასწავლო კურსის მიზანი –კურსის მიზანია მონაცემთა ბაზების ზოგადი კონცეფციის მიმოხილვა და მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებთან მუშაობის პრინციპების შესწავლა ინფორმაციის შენახვის, დამუშავებისა და მისი ეფექტურად გამოყენების მიზნით.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსი ორიენტირებულია სტუდენტს მისცეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა მონაცემთა ბაზების დაპროექტებისა და მასთან მუშაობის შესახებ. დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვა, დამუშავება და ანალიზი შეუძლებელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების კერძოდ კი მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების გამოყენების გარეშე. სასწავლო კურსის ფარგლებში შეისწავლება მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Microsoft Access. მისი საშუალებით მარტივი მონაცემთა ბაზების

დაპროექტება, ცხრილების, ფორმების, მოთხოვნების, ანგარიშების ფორმირება; მონაცემთა აგრეგირება, სტატისტიკური, ფინანსური და სხვა ფუნქციების გამოყენება, ინფორმაციის ანალიზი, ვიზუალიზაცია, და ა.შ. თითოეული თემატური ბლოკი დაკონკრეტებულია მისი ცალკეული საკითხის თეორიულად და პრაქტიკულად განხილვის დონეზე.

სწავლის შედეგი – აცნობიერებს საინფორმაციო ტექნოლოგიების როლს თანამედროვე ბიზნესის განვითარებაში; იცის მონაცემთა ბაზებთან მუშაობის ძირითადი პრინციპები და მათი მნიშვნელობა ორგანიზაციაში მონაცემთა შენახვის, დამუშავებისა და მათი საშუალებით საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზისათვის.

34. ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული სისტემები(ორისი)

სასწავლო კურსის მიზანი –კურსის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს: კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის მართვის თანამედროვე მეთოდები; ამ სფეროში ინფორმაციული სისტემების გამოყენების შესაძლებლობები; ძირითადი ამოცანები, რომლებსაც წყვეტს ბუღალტრული ინფორმაციული სისტემები; კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის მართვა პროგრამა ”ორისი“-ს გამოყენებით.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსი ორიენტირებულია საბუღალტრო საქმიანობის თანამედროვე ინფორმაციული სისტემების, კერძოდ ქართულ სივრცეში გავრცელებული პროდუქტის - „ორისის“ შესწავლაზე. კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა და შეისწავლის პროგრამის ინტერფეისს და მისი ინსტრუმენტების საშუალებით ორგანიზაციის რეკვიზიტების შეტანას, პარტნიორი ორგანიზაციების და ბანკების დამატებას, ნაშთების და ბრუნვების მართვას, ოპერაციების ჩამოყალიბებას, პირველად და საბოლოო დოკუმენტებთან მუშაობას, კადრებთან მუშაობას, ახალი ანგარიშების შექმნას სახეობების მიხედვით, სასაქონლო სიის შექმნას, არსებული ან ახალი სამეურნეო ოპერაციების აწყობა/მორგებას, ცვეთების დარიცხვას, გამომავალი დოკუმენტების ფორმირება/აწყობას, პროექტებთან მუშაობას და სხვა.

სწავლის შედეგი – შეუძლია ორგანიზაციის საბუღალტრო აღრიცხვის წარმართვაში მონაწილეობის მიღება საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა ორისის გამოყენებით.

სპეციალობის სასწავლო კურსების მოდული

მოდული მარკეტინგი

(სავალდებულო სასწავლო კურსები)

35. პრაქტიკული მარკეტინგი

სასწავლო კურსის მიზანია – კურსის შესწავლის მიზანია პრაქტიკული მარკეტინგის თეორიული ბაზის ფართოდ დაუფლება და ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება; მარკეტინგული მიდგომებისა დაუფლება მათი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით;

სასწავლო კურსის შინაარსი:შეისწავლის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიის თავისებურებების შესწავლა; სეგმენტირების პოზიციონირებისა და მარკეტინგ-მიქსის პრაქტიკული განხორციელების ტექნოლოგია; სტრატეგიული საბაზრო დაგეგმვის სპეციფიკის ცოდნა; ბაზრის მამოძრავებელი ძალების გამოყენება; ბაზრის სეგმენტირების პრინციპები. სამრეწველო და სამომხმარებლო დანიშნულების საქონლის ბაზრის სეგმენტირების თავისებურებები. ბაზრის სეგმენტირების მარკეტინგული სტრატეგიები – დიფერენცირებული მარკეტინგი, არადიფერენცირებული მარკეტინგი, კონცენტრირებული მარკეტინგი. მრავალფაქტორული სეგმენტირება; საქონლის სასიცოცხლო ციკლის სტადიები – დანერგვა, ზრდა, სიმწიფე, დაცემა. კონკურენცია. საქონლის კონკურენტუნარიანობის პარამეტრები – ეკონომიკური, ნორმატიული, ტექნიკური, ესთეტიკური, ერგონომიკული. ახალი საქონლის დამუშავების ეტაპები – ზოგადი მიმართულებების დასახვა, იდეების გენერაცია, იდეების შერჩევა; საქონლის კონცეფციის შემუშავება და სხვა.

სწავლის შედეგები: გააჩნია პრაქტიკული მარკეტინგის, როგორც გამოყენებითი დისციპლინის ფართო ცოდნა, კომპანიის ბაზარზე წარმატებული მოღვაწეობის საქმეში; იცის მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავების საბაზისო მეთოდოლოგია; აქვს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის მხასიათებლების და მისი განხორციელების თავისებურებების ფართო ცოდნა; გააჩნია ფართო კომერციული შეთავაზების პოზიციონირების უნარი; მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია – მარკეტინგული გეგმის დამუშავება და მისი რეალიზაცია; მარკეტინგული პროცესის ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება; კომერციული შეთავაზების დიფერენცირების სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება. გაყიდვების სტიმულირების ღონისძიებების ორგანიზება;

36. მარკეტინგული კვლევები

სასწავლო კურსის მიზანი – კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ მარკეტინგული კვლევების საბაზისო ტექნოლოგიას და შესწავლილი საკითხების საფუძველზე შეძლონ მარკეტინგული კვლევების ჩატარებაში მონაწილეობის მიღება.

სასწავლო კურსის შინაარსი – კურსი თანამიმდევრულად შეისწავლის შემდეგ საკითხებს: მარკეტინგული კვლევების როლი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში, მარკეტინგული კვლევის ეტაპები, მარკეტინგული კვლევის პრობლემების განსაზღვრა და კვლევის გეგმის შემუშავება, პირველადი და მეორადი მონაცემების მოძიების მეთოდები და ფორმები, შერჩევის მოცულობის განსაზღვრა, მონაცემების ანალიზი, გამოკითხვის ძირითადი მახასიათებლები, შეცდომების წყაროები გამოკითხვის ჩატარებისას. გამოკითხვის ჩატარების მეთოდები. გამოკითხვის მეთოდების შედარებითი შეფასება. დაკვირვების პროცესის განხორციელების ფორმები. დაკვირვების ძირითადი მახასიათებლები. დაკვირვების მეთოდები. ექსპერიმენტის ძირითადი მახასიათებლები. ექსპერიმენტის დასაბუთება. ექსპერიმენტის მოდელები. ბაზრის კვლევა. მომხმარებლების შესწავლა. ახალი საქონლის კვლევის მეთოდები. ფასების კვლევა და შესწავლა; მარკეტინგული კვლევის ანგარიშის მომზადება და მისი პრეზენტაცია.

სწავლის შედეგი — გააჩნია ფართო ცოდნა მარკეტინგული კვლევების როლისა და მნიშვნელობის შესახებ ფირმის მმართველობით საქმიანობაში გადაწყვეტილებების მიღებისათვის; მარკეტინგული ინფორმაციის, წყაროების და სისტემების შესახებ; მარკეტინგული კვლევის პრობლემებზე და ეტაპებზე; მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია, მარკეტინგული კვლევების ორგანიზაცია და მათში მონაწილეობის მიღება; მინიმალური ზედამხედველობის პირობებში დასვას მარკეტინგული კვლევის ამოცანა და განსაზღვროს კვლევის პრობლემა; შეადგინოს მარკეტინგული კვლევის გეგმა (პროექტი) და შეიმუშაოს კვლევის ჩატარების შესახებ წინადადებები; მოახდინოს პირველადი და მეორადი ინფორმაციის მოპოვება; შეარჩიოს ანკეტების ფორმები და კითხვების ფორმულირების წესი.

37. საერთაშორისო მარკეტინგი

სასწავლო კურსის მიზნები – კურსის მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ საერთაშორისო მარკეტინგის თავისებურებებსა და კონცეპტუალურ საკითხებს მრავალეროვნული და მულტიეროვნული კომპანიების(მეკ) საერთაშორისო ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისათვის.

სასწავლო კურსის შინაარსი – საერთაშორისო მარკეტინგის არსი, საერთაშორისო ფირმების ინტერნაციონალიზაციის პროცესი, საერთაშორისო მარკეტინგის გარემო, საერთაშორისო ბაზრის სეგმენტაცია, სასაქონლო და სარეკლამო საქმიანობის ორგანიზაცია საგარეო ბაზარზე, საერთაშორისო მარკეტინგის დაგეგმვა და ორგანიზაცია; საქონელმომძრაობა და გასაღების პოლიტიკა საერთაშორისო მარკეტინგში; სახელშეკრულებო პოლიტიკის მარკეტინგული ასპექტები; საერთაშორისო მარკეტინგის განვითარების თანამედროვე ტენდენციები;

სწავლის შედეგი – მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია მეკ-ის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში საერთაშორისო მარკეტინგის პრინციპების გამოყენება; კომპანიების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამოვლენა; საერთაშორისო მარკეტინგული გარემოს დახასიათება; საზღვარგარეთული მიზნობრივი

ბაზრის შესახებ მონაცემების მოძიება და დამუშავება; საერთაშორისო მარკეტინგული კომპლექსის ელემენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

38. მომხმარებლის ქცევა

სასწავლო კურსის მიზანი–კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ მომხმარებელთა ქცევის ტექნოლოგიებს, კომპანიათა მიერ მომხმარებელთა სასურველი რეაქციების სწორად დაგეგმვისა და მათი მაღალი ეკონომიკური შედეგების მისაღწევად.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: მომხმარებელთა ქცევის თანამედროვე კონცეფცია, მარკეტინგული სტიმულების შემადგენელი ელემენტები, ყიდვის გადაწყვეტილების პროცესი, სამომხმარებლო შერჩევის პროცესი და მისი ეტაპები, საქონლის ყიდვის შემდგომი პროცესების ანალიზი; მყიდველთა ქცევა საწარმოთა ბაზარზე; სამომხმარებლო ბაზრები და მყიდველობითი ქცევის ტიპები; არაკომერციული ორგანიზაციების ქცევის თავისებურებანი; სამომხმარებლო ბაზრები და მყიდველობითი ქცევის ტიპები და სხვ.

სწავლის შედეგი –ავლენს ფართო ცოდნას მომხმარებელთა ქცევის თანამედროვე კონცეფციების შესახებ; აცნობიერებს მის როლს კომპანიის საბოლოო შედეგებისათვის; ფართოდ ფლობს მომხმარებელთა ქცევის მოდელის ძირითად შემადგენლებს; აცნობიერებს ყიდვის გადაწყვეტილების პროცესის სიტუაციური გავლენის ფაქტორებს და ელემენტებს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია მომხმარებელთა ქცევის პროცესების პროგნოზირების და დაგეგმვის მაჩვენებლების განსაზღვრა; შეუძლია პროცესების მართვის, რეგულირებისა და დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის მიღება. მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვის სტრატეგიის რეალიზება.

39. გაყიდვების მართვა

კურსის მიზანია - კურსის შესწავლია მიზანია სტუდენტმა ფართოდ შეისწავლოს საქონლის და მომსახურების სადისტრიბუციო არხები – გაიაზრონ საცალო ვაჭრობის ფუნქციები და როლი მარკეტინგული არხების კომპლექსში.

სასწავლო კურსის შინაარსი– სასწავლო კურსი ორიენტირებულია განაწილების არხების არსისა და ამოცანების შესწავლაზე - გაყიდვების მენეჯერების მომზადებაზე; დისციპლინა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა განაწილების არხის ფუნქციები, გაყიდვების არხების შინაგანი სტრუქტურა და ფუნქციონირების პრინციპები, საერთაშორისო განაწილების არხების ფორმირების თავისებურებანი. მომარაგების ძირითადი ფუნქციები, გაყიდვების არხების განვითარების ტენდენციები, საცალო და საბითუმო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები

სწავლის შედეგი - ფართოდ იცის საცალო ვაჭრობის, როგორც საქონლის განაწილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არხის როლი და ამოცანები; საცალო მოვაჭრეთა ფუნქციები, სავაჭრო ინსტიტუტები; -

აქვს საქონლის ასორტიმენტის ფორმირების და მარაგის მართვაში მონაწილეობის უნარი;; შეუძლია საქონლის მომწოდებლებთან შეხვედრების და მოლაპარაკებების ორგანიზებაში მონაწილეობა;

40. ბრენდის მართვა

სასწავლო კურსის მიზანი – კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტები დაეუფლონ პროდუქციის და მომსახურებისათვის ბრენდინგის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების ფართო ასპექტებს, ბრენდინგის პროცესების წარმართვის სპეციფიკას თანამედროვე ბიზნესში.

სასწავლო კურსის შინაარსი –სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: გადაწყვეტილება ბრენდინგის შესახებ. ბრენდის გავლენა მყიდველის გადაწყვეტილებაზე. გლობალიზაციის და კონკურენციის როლი ბრენდის მნიშვნელობის ზრდის საქმეში. ძლიერი ბრენდის შექმნის მნიშვნელობა:დიფერენცირება, ბრენდის მიმართ ერთგულების ფორმირება, უპირატესობის ფორმირება, ბრენდის იმიჯის შექმნა. ბრენდის დახმარებით ნდობის და საიმედოობის ფორმირება, და სხვ.

სწავლის შედეგი – აქვს ფართო ცოდნა, თანამედროვე კომპანიებში, ბრენდის მართვის თავისებურებების და საჭიროების შესახებ; აცნობიერებს ბრენდის მართვის სისტემის მნიშვნელობას კომპანიის საბოლოო შედეგებისათვის; ფლობს ბრენდინგის სტრატეგიის ძირითად შემადგენლებს;მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია ბრენდის დამუშავებაში არსებული პრობლემების გადაჭრა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ბრენდის პროგნოზირების და დაგეგმვის მაჩვენებლების შეფასება; შეუძლია ბრენდინგის პროცესების მართვის, რეგულირებისა და დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის მიღება.

41. ინდუსტრიული მარკეტინგი

სასწავლო კურსის მიზანი - კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ ინდუსტრიული მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვის და მართვის ძირითად ტექნოლოგიას, სამრეწველო ორგანიზაციების მიერ პროდუქტის შემუშავების მარკეტინგული სტრატეგიების განსაზღვრის საბაზისო ასპექტებს.

სასწავლო კურსის შინაარსი –სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: სამრეწველო წარმოების მართვის კონცეფცია. სამრეწველო საქონილი, სამრეწველო საქონლის ბაზრების კლასიფიკაცია. საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ლიცენზირება. საქონლის ხარისხისა და მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობა, სამრეწველო საქონლის ბაზრის კვლევის თავისებურებანი და სხვა.

სწავლის შედეგი – გააჩნია ფართო ცოდნა ინდუსტრიული მარკეტინგის ღონისძიებების განხორციელების თავისებურებების და საჭიროების შესახებ; აცნობიერებს ინდუსტრიული მარკეტინგის კომპლექსური მართვის სისტემის მნიშვნელობას, ფართოდ ფლობს ინდუსტრიული მარკეტინგის სტრატეგიების ძირითად შემადგენლებს; მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია ინდუსტრიული მარკეტინგის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია დაგეგმვის მაჩვენებლების შეფასებაში მონაწილეობა; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია ინდუსტრიული მარკეტინგის პროცესების მართვის, რეგულირებისა და დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის მიღება.

42. რეკლამა და სტიმულირება

სასწავლო კურსის მიზნები – სასწავლო კურსის მიზანია რეკლამისა და სტიმულირების თეორიული ბაზის ფართოდ დაუფლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: რეკლამის არსი, მნიშვნელობა და უპირატესობანი, რეკლამის ორგანიზაცია, თანამედროვე რეკლამის სახეები, რეკლამის ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდები და მოდელები, გაყიდვის სტიმულირების ადგილი და როლი მარკეტინგულ კომუნიკაციებში გაყიდვის სტიმულირების ეფექტიანობის ანალიზი, ინტერნეტ – რეკლამის უპირატესობანი, ინტერნეტ-რეკლამის ეფექტურობა; სარეკლამო პროგრამის დამუშავება; სარეკლამო ბიუჯეტის დაგეგმვა; რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობები;

სწავლის შედეგი – გააჩნია ფართო ცოდნა რეკლამისა და სტიმულირების თავისებურებები შესახებ თანამედროვე კომპანიებში; ფართოდ აცნობიერებს სტიმულირების სისტემის მნიშვნელობას კომპანიის საბოლოო შედეგებისათვის; შეუძლია მიზნობრივ აუდიტორიაზე სწორი მოტივატორების მიმართვა; სარეკლამო ბიუჯეტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება; ინტერნეტ რეკლამის პრაქტიკაში ფართოდ გამოყენება; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში სარეკლამო ბიუჯეტის დაგეგმვაში მინაწილეობის მიღება;

43.E - კომერცია

სასწავლო კურსის მიზანი: კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ სიანფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ელექტრონული კომერციის წარმოებას.

სასწავლო კურსის აღწერა – სასწავლო კურსი ორიენტირებულია ელექტრონული კომერციის არსისა და ამოცანების შესწავლაზე - ელექტრონული კომერციის მენეჯერების მომზადებაზე; დისციპლინა მოიცავს ფინანსურ საქმიანობას ქსელში; ინფორმაციის დაცვას ელექტრონული

კომერციის დროს; კომერციას სამომხმარებლო ბაზარზე და საწარმოებს შორის; ელექტრონულ ბაზარს გამყიდველებისა და მომხმარებლებისათვის; ურთიერთობებს სადისტრიბუციო ჯაჭვის ჩარჩოში; ვირტუალურ საწარმოებს; ელექტრონული ვაჭრობის რეგულირების სისტემას; ელექტრონული ვაჭრობის ტექტიკურ საშუალებებს; ელექტრონულ ვაჭრობა და პირდაპირი მარკეტინგი; ელექტრონულ კომერციას და სამთავრობო და ფინანსურ სტრუქტურათა მოქმედებებს.

სწავლის შედეგი – აქვს ელექტრონული კომერციის განვითარების თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლების ფართო ცოდნა; – ფართოდ ფლობს მისი ფუნქციონირების თავისებურებებს და განხორციელების ზოგად მეთოდები; აქვს ელექტრონული კომერციის სისტემის გამოყენების უნარი; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ვაჭრობის სფეროს ახალი მონაცემების შეფასების, სინთეზისა და ანალიზის უნარი; შეუძლია პრობლემის გადაჭრის ახალი გზების შემუშავება; იცის ელექტრონული ვაჭრობის უსაფრთხოების მექანიზმი; შეუძლია ელექტრონული მაღაზიის შექმნა.

44. ლოჯისტიკა

სასწავლო კურსის მიზანი – კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობაში ლოჯისტიკის გამოყენების შესახებ.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგი საკითხების შესწავლას: ლოჯისტიკური საქმიანობის სახეები და ლოჯისტიკის განვითარების სტადიები; მატერიალური ნაკადები და მისი ძირითადი მახასიათებლები; სერვისული ნაკადები და მისი მახასიათებლები; შესყიდვების ლოჯისტიკა მისი ამოცანები და ფუნქციები. შესყიდვების (მომარაგების) ორგანიზება. ტრანსპორტის როლი ლოჯისტიკაში. ინფრასტრუქტურის ელემენტების განლაგება; საწარმოო ლოჯისტიკის არსი და ამოცანები, წარმოებაში მატერიალური ნაკადების მიზნები და კონცეფციები; მომსახურების ლოჯისტიკა; მარაგების მართვის მნიშვნელობა ლოჯისტიკაში; საწყობის როლი ლოჯისტიკაში; გასაღება-განაწილების ლოჯისტიკის არსი, ფუნქციები და მისი როლი მომხმარებლამდე საქონლის დაყვანაში; თანამედროვე ლოჯისტიკური სისტემების ფორმირება;

სწავლის შედეგი – აქვს ლოჯისტიკის განვითარების თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლების ფართო ცოდნა; გააჩნია ლოჯისტიკის დეფინიციების ფართო ცოდნა: ფართოდ აცნობიერებს ლოჯისტიკის ფორმების – შემავალი ლოჯისტიკა, მატერიალური ნაკადების მენეჯმენტი, გამავალი ანუ მარკეტინგული ლოჯისტიკა– ფუძემდებლურ პრინციპებს; აქვს მატერიალური და არამატერიალური ნაკადების მოძრაობის დაგეგმვისა და ლოჯისტიკური პროცესის ორგანიზები უნარი; იცის მარაგის მოცულობის და მარაგებზე გაწეული დანახარჯების განსაზღვრა; მარაგების შეფასების მეთოდები და მარაგების კონტროლი

45. კონკურენცია და კონკურენტული სტრატეგიები

სასწავლო კურსის მიზანი: კურსის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ თანამედროვე ბიზნეს გარემოში კონკურენტული სტრატეგიების გამოყენება.

სასწავლო კურსის აღწერა –სასწავლო კურსი ორიენტირებულია კონკურენტული სტრატეგიების თეორიული ბაზის დაუფლებასა და ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. საგანი მოიცავს შემდეგ თემებს: საბაზისო კონკურენტულ სტრატეგიები; კონკურენტის ანალიზის მეთოდოლოგია; ბაზრის სიგნალების ანალიზი; კონკურენტის ქმედებები; მყიდველებთან და მომწოდებლებთან დაკავშირებულ სტრატეგიები; შიდა დარგობრივი სტრუქტურული ანალიზი; კონკურენტული სტრატეგიის შემუშავება დაბალი კონცენტრაციის დარგებისათვის; კონკურენტული სტრატეგიის შემუშავება ახალი დარგებისათვის; კონკურენტული სტრატეგიის შემუშავება სიმწიფის პერიოდში მყოფი დარგებისათვის;

სწავლის შედეგი: გააჩნია კონკურენტული სტრატეგიების საბაზისო ელემენტების ფართო ცოდნა; გაცნობიერებული აქვს თანამედროვე ბიზნეს-გარემოში კონკურენტული ბრძოლის სირთულე; მისი კომპეტენციის ფარგლებში კონკურენტული სტრატეგიების საფუძველზე შეუძლია, კონკურენტების კომპლექსური ანალიზის და წარმატებული მეტოქეობისათვის ეფექტიანი სამოქმედო გეგმის შედგენაში მონაწილეობის მიღება

46. PR მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზანი – კურსის მიზანია კომპანიის წინსვლისათვის სტრატეგებმა შეისწავლონ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციონირების მეცნიერული თეორიები და ფართოდ დაეუფლონ PR მენეჯმენტის საბაზისო ტექნოლოგიას;

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსი ორიენტირებულია - PR მენეჯმენტის თეორიული ბაზის დაუფლებასა და ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე; კურსი მოიცავს შემდეგი საკითხების შესწავლას: საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე ტექნოლოგიის კონცეფცია, ევოლუცია, მეცნიერული საფუძვლები; PR-ის განვითარების ეტაპებსა და წყაროებს; PR კომუნიკაციის ზეგავლენა საზოგადოებაზე; PR-ის მართვის თეორიას; PR პრობლემების განსაზღვრას; კომუნიკაციების ამოცანები თანამედროვე ბიზნესში; ფინანსური და საინვესტიციო PR; PR-ის პროცესებისა და პროგრამების შეფასება; PR-ის სტრატეგიული პერსპექტივა.

სწავლის შედეგები - აქვს PR -ის თეორიულ მეთოდოლოგიური განვითარების ფართო ცოდნა; იცის PR -ის ფუნქციონირების თავისებურებები და განხორციელების მეთოდები; PR მენეჯმენტში გამოყენებულ ტერმინები და დეფინიციები; იცის ორგანიზაციისა და მისი კომერციული შეთავაზების საბაზისო ელემენტები; აქვს თანამედროვე PR ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენების უნარი; საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციების დამყარების უნარ-ჩვევები; შეუძლია PR -ის თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება; მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია კრიზისულ და ფორსმაჟორულ ვითარებაში, ორგანიზაციის ინტერესების მიხედვით, საზოგადოებრივი აზრის მართვის პროცესში მონაწილეობა; ზოგადი მითითებების საფუძველზე შეუძლია PR კამპანიის შემუშავებაში მონაწილეობა;

(არჩევითი სასწავლო კურსები)

48. მომსახურების მარკეტინგი

სასწავლო კურსის მიზანი – კურსის მიზანია მომსახურების ბაზრის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მომსახურების მარკეტინგულ გადაწყვეტილებათა მიღების ძირითადი ასპექტების ფართოდ შესწავლა.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: მომსახურების ბაზარი და მისი განვითარების ტენდენციები. მომსახურების სფეროს ევოლუცია. მომსახურების მარკეტინგის განმასხვავებელი ნიშნები. ინტეგრირებული მიდგომა მომსახურების მართვისადმი. მომსახურება, როგორც პროცესი. მომსახურების შედეგად მიღებული სარგებლის იდენტიფიკაცია. მომსახურების წარმოების ალტერნატიული ხერხები. კლიენტი-მომსახურების სფეროში მარკეტინგული შეთავაზების შემადგენელი და სხვა.

სწავლის შედეგი – გააჩნია ფართო ცოდნა მომსახურების მარკეტინგის თავისებურებების და მისი ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების საკითხებზე; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია მომსახურების მარკეტინგში არსებული პრობლემების კომპლექსურად გადაჭრაში მონაწილეობა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია მომსახურების მარკეტინგის დაგეგმვის მაჩვენებლების შეფასებაში მონაწილეობა;

49. სოციალური მარკეტინგი

სასწავლო კურსის მიზანი – კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ სოციალური მარკეტინგული ღონისძიებების მართვის საკითხებს. კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური და საზოგადოებრივი ასპექტების სწორად განსაზღვრას, საღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: მომხმარებლის ბალანსირების თეორია. გათვითცნობიერებული მომხმარებელი და მარკეტინგული სტრატეგია. მომხმარებლის დაბალანსების მასტიმულირებელი ძალები, სოციალური მარკეტინგის კონცეფციის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები. სოციალური მარკეტინგის წარმოშობის მიზეზები. სოციალური მარკეტინგის პროგრამები; მარკეტინგული კომპლექსის კომპონენტები სოციალურ მარკეტინგში; სოციალური მარკეტინგის კრიტერიუმები; სოციალური მარკეტინგის დაგეგმვა; სოციალური მარკეტინგის ინტერვენცია და სხვ.

სწავლის შედეგი – იცის სოციალური მარკეტინგის თავისებურებები და მისი ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების საჭიროება; ფართოდ აცნობიერებს სოციალური მარკეტინგის კომპლექსური მართვის სისტემის მნიშვნელობას, ფართოდ ფლობს სოციალური მარკეტინგის სტრატეგიების ძირითად შემადგენლებს; მინიმალური

ზედამხედველობის პირობებში შეუძლია სოციალური მარკეტინგში არსებული პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობის მიღება; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია სოციალური მარკეტინგის დაგეგმვის მაჩვენებლების კომპლექსურად შეფასება;

51. აუდიტი და კონტროლი

სასწავლო კურსის მიზნები – კურსის შესწავლის მიზანია, სტუდენტებმა მიიღონ კომპანიის ფინანსური რესურსების, ფიზიკური და არამატერიალური აქტივების; ვალდებულებების კორპორატიული და საჯარო კაპიტალის კონტროლის და აუდიტის მეთოდებისა და ფორმების ფართო და საფუძვლიანი ცოდნა;

სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი – სასწავლო კურსით გათვალისწინებულია სტუდენტებმა შეისწავლონ ფინანსური კონტროლის არსი, მნიშვნელობა და ადგილი სახელმწიფო კონტროლის სისტემაში, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის თავისებურებები და მახასიათებლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობათა გამოცდილება, საქართველოში აუდიტური საქმიანობის ნორმატიული რეგულირების თავისებურებები, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შინაარსი და მახასიათებლები, აუდიტისა და შიდა კონტროლის დაგეგმვის პრინციპები, აუდიტორული რისკის, არსებობის და სტრატეგიის არსი, აუდიტური შემოწმების ეტაპები და მათი სპეციფიკა, აუდიტური მტკიცებულებების მოპოვების თავისებურებები და ანალიზური პროცედურების არსი, აუდიტორთა ეთიკის კოდექსის ნორმები, აუდიტის სფეროში საერთაშორისო გამოცდილება და სხვ.

სწავლის შედეგი – აცნობიერებს ფინანსური კონტროლისა და აუდიტის მნიშვნელობას და საერთო მდგომარეობას; დადგენილი კრიტერიუმების და მტკიცებულებების შესაბამისობის ხარისხს; მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია მატერიალური და არამატერიალური აქტივების, ინვესტიციების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური შედეგების და ფინანსური ანგარიშგების კონტროლისა და აუდიტის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას.

52. მოლაპარაკების წარმოება

სასწავლო კურსის მიზანი- წარმოდგენილი სასწავლო კურსის მიზანია ბაკალავრები დაეუფლონ მულტიკულტურულ სამყაროში ეფექტიანი მოლაპარაკებების წარმოების ტექნოლოგიას.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსით გათვალისწინებულია იმ საკითხების შესწავლა, რომლებიც ბაკალავრებს შეასწავლით მოლაპარაკებათა წარმართვის თავისებურებებს, ისინი დაეუფლებიან მოლაპარაკების პროცესის დაგეგმვის, მომზადების და წარმართვის უნარ-ჩვევებს. კურსით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი საკითხების

შესწავლა: მრავალფეროვნებათა ცოცხალი გალერეა; მოუღედნელობებით აღსავსე დიდი სივრცე; მოლაპარაკებები ომის ხელოვნებით; მრავალფეროვანი კონტინენტი – რესურსული ეკონომიკა; წარმატებული ეკონომიკა რესურსების გარეშე; ევროპა – ერთიანი და განსხვავებული; მოლაპარაკებათა წარმართვის ტექნოლოგია; ეკონომიკური დიპლომატია და უსაფრთხოება.

სწავლის შედეგი - აქვს მოლაპარაკებათა წარმოების ტექნოლოგიის ფართო ცოდნა;

ფლობს მოუღედნელობათა შემთხვევაში მოლაპარაკებათა წარმატების ხელოვნების საბაზისო ელემენტებს, შეუძლია პირამიდული პრინციპით ურთიერთობათა თავისებურებების პრაქტიკაში ფართო გამოყენება; წარმატებულ მოლაპარაკებათა დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება; კომპანიის ინტერესების ჩარჩოებში მოლაპარაკების წარმართვაში მონაწილეობა; მოლაპარაკებებისას ეკონომიკური დიპლომატიის ტექნოლოგიის კომპლექსური ელემენტების გამოყენება;

წინასწარი მითითებების საფუძველზე გააჩნია მოლაპარაკებათა სტრატეგიის კომბინირების უნარი; მოლაპარაკებათა ტაქტიკის შერჩევის უნარი;

53. მენეჯერული უნარები და ლიდერობა

სასწავლო კურსის მიზანი - წარმოდგენილი სასწავლო კურსის მიზანია ბაკალავრებმა მიიღონ ფართო ცოდნა მენეჯერულ უნარებსა და ლიდერობის ტექნოლოგიაში.

სასწავლო კურსის შინაარსი - კურსი ორიენტირებულია სტუდენტისათვის ახალი ეკონომიკური აზროვნების ფორმირებასა და ეფექტიანი მართვის პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლებაზე; თანამედროვე ლიდერის ჩამოყალიბებაზე. ამდენად, მისი შესწავლის საგანია: ლიდერის 10 თვისება; ლიდერის პერსონალური თვისებები; წარმატებული გუნდის შექმნა; ლიდერი წარმოებაში; ლიდერის ეთიკა; მიზანი, ძალა, ნებისყოფა; ლიდერი, მენეჯერი, ძალაუფლება; მომავალი ლიდერის ნაბიჯები;

სწავლის შედეგები: გააჩნია მენეჯერული უნარებისა და ლიდერობის საფუძველების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ფართო ცოდნა; მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია სწავლება, კონსულტაციები და მხარდაჭერი კომუნიკაციების განხორციელება, რეალური ძალაუფლებისა და ზეგავლენის მოპოვებისათვის, იცის ადამიანების მართვისა და მათი სტიმულიების საბაზისო ელემენტები; კონფლიქტების მართვაში მონაწილეობის მიღება;

54. ორგანიზაციის თეორია

სასწავლო კურსის მიზანი: შემოთავაზებული სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს ფართოდ გააცნოს ორგანიზაციული ქცევის ძირითადი კონცეფციები. ორგანიზაციის თეორიისა და მენეჯმენტის პრაქტიკის გამოყენებით გამოუმუშავოს ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირებისა და ორგანიზაციული პროცესების რაციონალურად წარმართვის უნარი.

სასწავლო კურსის შინაარსი

კურსი ძირითადად ეფუძნება ორგანიზაციის თანამედროვე თეორიების განხილვას. მაში განხილულია შემდეგი საკითხები: ორგანიზაციების სახეები და ძირითადი მახასიათებლები. ორგანიზაციული ურთიერთობის დონეები. ორგანიზაციული სისტემების ტიპები. ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლი; ორგანიზაციული სტრუქტურა, ორგანიზაციის ძირითადი ელემენტები და მათი ურთიერთმიმართება; ორგანიზაციული პრობლემები და გადაჭრის პიროვნული ფაქტორები. ინდივიდუალური მახასიათებლები; პრობლემათა გადაჭრის სტილი. ინტუიცია და შემოქმედებითობა; ორგანიზაციული ცვლილებების დაგეგმვა და მიზნები. ორგანიზაციული ცვლილებების მოდელები. ორგანიზაციული განვითარების სტრატეგია და საშუალებები. ორგანიზაციული განვითარების ფაქტორები.

სწავლის შედეგი - გააჩნია ორგანიზაციული ქცევის ძირითადი კონცეფციების ფართო ცოდნა;

ერკვევა ორგანიზაციის კონცეპტუალურ საკითხებში; ფართოდ ფლობს ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიულ ასპექტებს; იცის სამუშაო ადგილის დანიშნულება და შემადგენელი ელემენტები; შეუძლია ორგანიზაციის თეორიის ძირითადი დებულებებისა და პრინციპების გადმოცემა და ფორმულირება; ორგანიზაციის შემადგენელი ძირითადი ელემენტებისა და მათი ურთიერთმიმართების დადგენა; ადამიანის ორგანიზაციასთან ურთიერთობის კომპლექსური დახასიათება; ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიის სწორად შერჩევაში მონაწილეობის მირება;

55. HR მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზანია: კურსის მიზანია სტუდენტმა ფართოდ შეისწავლოს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თეორიული საკითხები, გაერკვეს, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფაქტორს ორგანიზაციის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე, შესწავლილი იქნება შემდეგი თემები: ადამიანური რესურსები და ორგანიზაციის მენეჯმენტი, პერსონალის მართვის კონცეფციები, პერსონალის მართვის მიზანი, ამოცანები, სტრატეგია და პოლიტიკა, პერსონალის მართვის ანალიზი, დაგეგმვა და მოტივაცია, ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება, ორგანიზაციული კულტურა და შრომის ეთიკა, კონფლიქტების მართვა და ტრენინგების სისტემა.

სწავლის შედეგი - გააჩნია ბიზნესის ცალკეულ სფეროში ადამიანური რესურსების მართვის კანონზომიერებისა და თავისებურებების ფართო ცოდნა, მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ადამიანური რესურსების მართვის არსებული სიტუაციის ანალიზი, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში ადამიანური რესურსების მართვის კუთხით.

მოდული – მენეჯმენტი
(სავალდებულო სასწავლო კურსები)

პრაქტიკული მენეჯმენტი

კურსი მოიცავს მენეჯმენტის თეორიული ასპექტების პრაქტიკული გამოყენების საკითხების შეწავლას. პრაქტიკული ქეისების საფუძველზე შეისწავლის თანამედროვე მენეჯერისათვის საჭირო და აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღების ტექნიკას; რეალური პროექტებისგანხორციელების საფუძველზე ორგანიზაციის სტრატეგიების შემუშავებას დაგეგმვასა და საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშებას; პრაქტიკული ქეისების საფუძველზე, კომპანიის განვითარების და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად სტრუქტურები შეისწავლიან პროცესების კონტროლისა და რეგულირების ინსტრუმენტების პრაქტიკულ გამოყენებას; კონფლიქტების თავიდან აცილებისა და გუნდურობის შენარჩუნების პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

35. სტრატეგიული მართვა

სასწავლო კურსის მიზანი: კურსის ძირითადი მიზანია კომპანიის სტრატეგიული განვითარების ტექნოლოგიის დაუფლება და სტრატეგიული მართვის საბაზისო მექანიზმების ფართოდ შესწავლა

სასწავლო კურსის შინაარსი. სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: სტრატეგიის ალტერნატივის ცნება და მნიშვნელობა. სტრატეგიული ალტერნატივების სახეები. სტრატეგიული ალტერნატივების შეფასების მაჩვენებლები; სტრატეგიის ფორმირება; კომპანიის წამყვანი ძალების კონცეფცია; დივერსიფიცირებული კომპანიის კორპორაციული სტრატეგია; სტრატეგიული გეგმის შეფასება. სტრატეგიაზე მოქმედი ფაქტორები; სტრატეგიული გეგმის შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები; სტრატეგიის სიტუაციასთან მისადაგების თეორია; სტრატეგიის დანერგვა; დანერგვის ძირითადი ამოცანები; ადმინისტრაცია; დანერგვის პროცესის მართვა; ეფექტიანი ორგანიზაციის შექმნა; ორგანიზაციული სტრუქტურის სტრატეგიასთან მისადაგება; საქმიანობის ტიპებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა; ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობის კოორდინირება და სხვა.

სწავლის შედეგები: აცნობიერებს სტრატეგიული მენეჯმენტის ფუნდამენტურ პრინციპებს; სინერგიზმის მოვლენის როლს კონგლომერატული სტრატეგიისათვის; ფლობს მისიის, მიზნისა და ამოცანების არსს და მათი განსაზღვრის სპეციფიკას; მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია სტრატეგიული ალტერნატივების მიმართ

თანამედროვე მიდგომების პრაქტიკული გამოყენება; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია – ბიზნეს-ერთეულის სტრატეგიის სპეციფიკის განსაზღვრა; ბიზნეს-ლადშაფტის შეფასების “ხუთი ძალის” და “წმინდა ფასეულობის” მოდელების პრაქტიკაში ფართოდ გამოყენება; ბიზნეს-გარემოში მომავლის განვითარების სცენარების პროექტირებაში მონაწილეობა;

36. ადამიანური რესურსების მართვა

სასწავლო კურსის მიზანია: კურსის მიზანია სტუდენტმა ფართოდ შეისწავლოს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თეორიული საკითხები, გაერკვეს, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფაქტორს ორგანიზაციის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე, შესწავლილი იქნება შემდეგი თემები: ადამიანური რესურსები და ორგანიზაციის მენეჯმენტი, პერსონალის მართვის კონცეფციები, პერსონალის მართვის მიზანი, ამოცანები, სტრატეგია და პოლიტიკა, პერსონალის მართვის ანალიზი, დაგეგმვა და მოტივაცია, ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება, ორგანიზაციული კულტურა და შრომის ეთიკა, კონფლიქტების მართვა და ტრენინგების სისტემა.

სწავლის შედეგი - გააჩნია ბიზნესის ცალკეულ სფეროში ადამიანური რესურსების მართვის კანონზომიერებისა და თავისებურებების ფართო ცოდნა, მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ადამიანური რესურსების მართვის არსებული სიტუაციის ანალიზი, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში ადამიანური რესურსების მართვის კუთხით.

37. პროექტების მართვა

სასწავლო კურსის მიზანი – სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ პროექტის მართვის სპეციფიკას და მისი რეალიზაციის ტექნოლოგიას.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსი ორიენტირებულია საბაზრო ეკონომიკის კონკურენტულ გარემოში მიზანმიმართული საპროექტო სტრატეგიისა და მისი უზრუნველყოფის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გაცნობიერებაზე. პროექტების შემუშავების, შერჩევის და რეალიზაციის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. კურსით გათვალისწინებულია შემდეგი საკითხების შესწავლა: პროექტების მართვის თანამედროვე კონცეფცია სამუშაოთა ორგანიზაციის საპროექტო სისტემა; პროექტების მართვის თანამედროვე პროცესები, საბაზო ელემენტები და ქვესისტემები; პროექტის გუნდის მართვა; საერთაშორისო პროექტები; პროექტების მართვის მომავალი

სწავლის შედეგი - გააჩნია პროექტების მართვის თანამედროვე კონცეფციების ფართო ცოდნა;– შეუძლია სამუშაოთა ორგანიზაციის საპროექტო სისტემის შემადგენლების და მახასიათებლების განსაზღვრა; მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია პრაქტიკული

დაგეგმვის სამუშაოების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

38. ორგანიზაციული ქცევა

სასწავლო კურსის მიზანი -შემოთავაზებული სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს ფართოდ გააცნოს ორგანიზაციული ქცევის ძირითადი კონცეფციები, სამუშაო ადგილზე ადამიანის ქცევის ფუნქციონირების თეორიების ფართოდ შესწავლა; აღნიშნული თეორიების ძირითადი დებულებების გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება მენეჯმენტის პრობლემების გადასაწყვეტად.

სასწავლო კურსის შინაარსი - განხილვას, ორგანიზაციული ქცევის გაანალიზებას, მოტივაციისა და ადამიანური რესურსების ეფექტური გამოყენების უნარ-ჩვევების შემუშავებას. ორგანიზაციული ქცევა მოიცავს ადამიანური ქცევის თეორიას ორგანიზაციებში – აქცენტი კეთდება ინდივიდუალურ განსხვავებებსა და ჯგუფურ ქცევას შორის გლობალურ ბიზნეს გარემოში. სასწავლო კურსში განხილული იქნება მართვის მეცნიერების პრობლემები და მიღწევები, კერძოდ ორგანიზაციული სტრუქტურა, სოციალიზაცია, კულტურა, სტრესი, სამსახურეობრივი ცხოვრების ხარისხი, ქმედითუნარიანი ჯგუფების შექმნა, ორგანიზაციული სწავლა, სამსახურეობრივი გარემოებების სხვადასხვაობა და საერთაშორისო ურთიერთობები. ორგანიზაციული ქცევა მულტიდისციპლინარული საგანია და ეხება ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებსაც.

სწავლის შედეგი – გააჩნია ფართო ცოდნა ორგანიზაციული ქცევის ძირითად კონცეპტუალურ საკითხებზე; აცნობიერებს ჯგუფის ეფექტს და მის გავლენას ჯგუფურ ქცევაზე; შეუძლია ორგანიზაციული ქცევის ძირითადი დებულებებისა და პრინციპების გადმოცემა და ფორმულირება; ადამიანებზე ორგანიზაციული კულტურის ფუნქციური და დისფუნქციური გავლენების განსაზღვრა; ადამიანის ორგანიზაციასთან ურთიერთობის კომპლექსური დახასიათება; ორგანიზაციული ქცევის რეგულირების მეთოდების სწორად გამოყენება;

39. ანტიკრიზისული მართვა

სასწავლო კურსის მიზანი - კურსის მიზანია სტუდენტებმა ფართოდ შეისწავლონ კრიზისულ სიტუაციაში ფირმის მოქნილად მართვის კომპლექსური მეთოდები და ელემენტები; შეძლონ პერსონალის ეფექტური მართვა და, როგორც შიგა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტული პოზიციების შენარჩუნება.

სასწავლო კურსის შინაარსი-კურსი მოიცავს შემდეგი საკითხების სწავლებას:ანტიკრიზისული მენეჯმენტის კონცეფციები; კრიზისები საწარმოო დონეზე; ეკონომიკური კრიზისები; რესურსების მართვა კრიზისულ საწარმოში; კრიზისული კომპანიის დიაგნოსტიკა; ინოვაციები და ანტიკრიზისული მართვა;რესტრუქტურიზაცია და ანტიკრიზისული მართვა. კრიზისული კომპანიის სტრატეგია; ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია; ტრანსფორმაციის პროგრამა; ანტიკრიზისული ღონისძიებები.

სწავლის შედეგი - იცის ანტიკრიზისული მართვის მეთოდებისა და პრინციპების თეორიული ასპექტები; ეკ. კრიზისების წარმოშობის თავისებურებები; გააჩნია ანტიკრიზისული მართვის, რეგულირების, დაგეგმვის, სტრუქტურირების ძირითადი მეთოდების ფართო, საბაზო ცოდნა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ანტიკრიზისული მართვის ღონისძიებების დასახვა; მისი კომპეტენციის ფარგლებში გააჩნია ანტიკრიზისული მართვის კომპლექსური ღონისძიებების განსაზღვრის უნარი;წინასწარი მითითებების საფუძველზე შეუძლიაშეუძლია კომპანიის რესტრუქტურირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

40. PR მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზანი -კურსის მიზანია კომპანიის წინსვლისათვის სტუდენტებმა შეისწავლონ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნდამენტური მეცნიერული თეორიები და ფართოდ დაეუფლონ PR მენეჯმენტის საბაზისო ტექნოლოგიას;

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსი ორიენტირებულია - PR მენეჯმენტის თეორიული ბაზის დაუფლებასა და ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე; კურსი მოიცავს შემდეგი საკითხების შესწავლას: საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე ტექნოლოგიის კონცეფცია, ევოლუცია, მეცნიერული საფუძვლები; PR-ის განვითარების ეტაპებსა და წყაროებს; PR კომუნიკაციის ზეგავლენა საზოგადოებაზე; PR-ის მართვის თეორიას; PR პრობლემების განსაზღვრას; კომუნიკაციების ამოცანები თანამედროვე ბიზნესში; ფინანსური და საინვესტიციო PR; PR-ის პროცესებისა და პროგრამების შეფასება; PR-ის სტრატეგიული პერსპექტივა.

სწავლის შედეგები - აქვს თანამედროვე PR ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენების უნარი; საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციების დამყარების უნარ-ჩვევები; შეუძლია PR -ის თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება; მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია კრიზისულ და ფორსმაჟორულ ვითარებაში, ორგანიზაციის ინტერესების მიხედვით, საზოგადოებრივი აზრის მართვის პროცესში მონაწილეობა; ზოგადი მითითებების საფუძველზე შეუძლია PR კამპანიის შემუშავებაში მონაწილეობა;

41. საგადასახადო ადმინისტრირება

სასწავლო კურსის მიზანი – სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ საგადასახადო სისტემას, მისი ადმინისტრირების მექანიზმებს სამეწარმეო საქმიანობის სრულფასოვნად წარმართისათვის; ჩამოუყალიბოს სტუდენტებს სამეწარმეო საქმიანობაში გადამხდელის უფლებებისა და მოვალეობების აღქმის/გააზრების უნარ-ჩვევები და მსოფლმხედველობა.

სასწავლო კურსის შინაარსი – კურსი მოიცავს შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლას: გადასახადების სოციალურ ეკონომიკური არსი; გადასახადების ფუნქციები; გადასახადების წყაროები;საგადასახადო პასუხისმგებლობის ცნება, ნიშნები და სუბიექტები;საგადასახადო სამართალდარღვევის ცნება, ნიშნები და სახეები;საგადასახადო დავალიანებების

გადახდევინების უზრუნველყოფა; იმპორტის გადასახადის ადმინისტრირება; ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილება ეკონომიკური ტერიტორია და საქონლის სტატუსი; საერთაშორისო დაბეგვრა; უცხოეთში გადახდილი გადასახადის ჩათვლა; ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება; საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა.

სწავლის შედეგი – ფართოდ უნდა ფლობდეს გადასახადებისა და საგადასახადო პოლიტიკის შესწავლის დროს დაგროვილი ცოდნის გამოყენების უნარს – იცნობდეს და თავისუფლად იყენებდეს, მიკრო და მაკრო დონეზე საგადასახადო საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად საინფორმაციო და საკანონმდებლო შესაძლებლობებს; შეეძლოს ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მახასიათებლების დადგენა, კომპლექსური ანალიზი, განვითარების ტენდენციებისა და ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენა და საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშება.

42. კორპორაციული მართვა

სასწავლო კურსის მიზანი – კურსის მიზანია კორპორაციული მართვის თეორიული და ანალიტიკური მასალების ფართოდ შესწავლის საფუძველზე სტუდენტმა შეძლოს ორგანიზაციული კომპეტენციების, კორპორაციის ორგანიზაციული სტრუქტურის და ორგანიზაციული კულტურის ფორმირებისა და ცვლილებების ალტერნატივების შემუშავებისა და შეფასების პროცესში მონაწილეობის მიღება,

სასწავლო კურსის შინაარსი – თეორიული, ანალიტიკური, სტატისტიკური და პრაქტიკული მასალების საფუძველზე შეისწავლება შემდეგი საკითხები: კორპორაციული მენეჯმენტის შინაარსი და თეორიული საფუძვლები; კორპორაციული სტრუქტურების ორგანიზაციული ფორმები; კორპორაციული სისტემების სტრატეგია; შერწყმა, შთანთქმა, სინერჯის ეფექტი; კორპორაციული ქცევა და კულტურა; ჯგუფური ქცევა; ლიდერობის პრობლემები;

სწავლის შედეგი – გაცნობიერებული აქვს კორპორაციული მართვის არსი, მისი როგორც გამოყენებითი სამეცნიერო დისციპლინის როლი და მნიშვნელობა კონკურენტულ სფეროში წარმატების მისაღწევად; შეუძლია კორპორაციული მართვის მოდელების კრიტერიუმების შემუშავება; ცვლილებების მიხედვით კორპორაციული მოდელში მართვის მექანიზმების კორექტირება; მინიმალური მითითებების საფუძველზე უნდა შეძლოს ცვლილებების სინთეზური ანალიზი და მართვის კომპლექსური მეთოდების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება

43. ფინანსური მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზნები – ფინანსების მართვის თანამედროვე მეთოდების ფართო შესწავლა. ფირმის ფინანსური ნაკადების დაგეგმვა და მართვა.

სასწავლო კურსის შინაარსი –სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისთვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა როგორცაა: ფინანსური მენეჯმენტის არსი; ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული საფუძვლები,ფინანსურ მენეჯმენტში გამოყენებული აღრიცხვისა და ანგარიშგების ძირითადი მაჩვენებლები.ფინანსური მენეჯმენტის საბაზო მაჩვენებლები. დაგეგმვა და ფინანსური სტრატეგია და წარმოების ფინანსების მართვის საკითხები; ფულადი რესურსების საერთო–სახელმწიფოებრივი ფონდის ფორმირება და ბიუჯეტშორისი ურთიერთობები; ფინანსური მენეჯმენტის კონცეპტუალური საკითხები; ფინანსური რისკების მართვის სისტემები.

სწავლის შედეგი – აქვს ფინანსური მენეჯმენტის თეორიული საფუძვლების ფართო ცოდნა; იცის ფინანსური მენეჯმენტის კომპლექსური უზრუნველყოფის სისტემები; ფინანსური მენეჯმენტის მეთოდური ინსტრუმენტები;შეუძლია ფინანსურ მენეჯმენტში გამოყენებული აღრიცხვისა და ფულადი ნაკადის კომპლექსურ ანალიზში მონაწილეობის მიღება;

44. გაყიდვების მართვა

სასწავლო კურსის მიზანი – კურსის შესწავლია მიზანია სტუდენტმა ფართოდ შეისწავლოს საქონლის და მომსახურების სადისტრიბუციო არხები – გაიაზრონ საცალო ვაჭრობის ფუნქციები და როლი მარკეტინგული არხების კომპლექსში.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსი ორიენტირებულია განაწილების არხების არსისა და ამოცანების შესწავლაზე - გაყიდვების მენეჯერების მომზადებაზე; დისციპლინა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა განაწილების არხის ფუნქციები, გაყიდვების არხების შინაგანი სტრუქტურა და ფუნქციონირების პრინციპები, საერთაშორისო განაწილების არხების ფორმირების თავისებურებანი. მომარაგების ძირითადი ფუნქციები, გაყიდვების არხების განვითარების ტენდენციები, საცალო და საბითუმო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები

სწავლის შედეგი - ფართოდ იცის საცალო ვაჭრობის, როგორც საქონლის განაწილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არხის როლი და ამოცანები; აქვს საქონლის ასორტიმენტის ფორმირების და მარაგის მართვაში მონაწილეობის უნარი; შეუძლია საქონლის მომწოდებლებთან შეხვედრების და მოლაპარაკებების ორგანიზებაში მონაწილეობა; შეუძლია მყიდველებთან კომუნიკაციის პროგრამების დაგეგმვასა და რეალიზაციის კომპლექსური პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

45. რისკების მართვა

სასწავლო კურსის მიზანი –თანამედროვე ეპოქაში რისკების მართვა წარმატებული ბიზნესის ერთ-ერთი წინაპირობაა. ეკონომიკის გლობალიზაციამ კიდევ უფრო აამაღლა რისკების დადგომის ალბათობა. სწორედ ამიტომ ბოლო წლებში რისკების მართვას დიდი

ყურადღება ეთმობა.რისკების მართვის ეფექტიანი პროცედურა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საშუალებას აძლევს ნებისმიერ საქმეში წინასწარ დაინახოს რისკები და მიიღოს მათი დაზღვევის დასაბუთებული გადაწყვეტილებები. კურსის მიზანია სტუდენტმა ფართოდ შეისწავლოს რისკების მართვის, თეორიისა და პრაქტიკის პრობლემატური საკითხები, გააცნობიეროს ის მოვლენები, რომლებიც იწვევს დანაკარგებს და ფინანსურ სიძნელეებს, დაეუფლოს რისკ-მენეჯმენტის იმ მეთოდებს, რომელთა რეალიზება უზრუნველყოფს ბაზარზე კომპანიის სტაბილურ პოზიციებს.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ ძირითად თემებს: რისკის არსი და რისკის სახეები და მისი ადგილი საბაზრო ეკონომიკაში;რისკის სახეები და მათი კლასიფიკაცია;რისკ-მენეჯმენტის კანონები და პრინციპები; ინოვაციური მეწარმეობა და მისი სახეები;საბანკო საქმიანობის ძირითადი რისკები;რისკების ანალიზისა და შეფასების მეთოდები;დაზღვევა,როგორც რისკების მართვის მეთოდი; ფინანსური რისკები და მათი მართვა, ფინანსური რისკების მართვის მათოდები; სამეწარმეო რისკები; საბანკო რისკები;კომპანიის განწყობა რისკისადმი ,რისკმენეჯმენტის სირთულის სამი დონე. რისკების ჯგუფები; ბიზნესში საქმიანი შეხვედრების მომზადებისა და ჩატარების რისკების მართვა; საერთაშორისო რისკები და სხვ.

სწავლის შედეგი: რისკების მართვისა ძირითადი პრინციპების ფართო ცოდნა, რისკების მართვის სტრატეგიების შერჩევაში მონაწილეობის მიღების უნარი, საქმიანი, ფინანსური და ინფლაციური რისკების სპეციფიკის ფართო ცოდნა, დაზღვევის ძირითადი პროცესის ფართო ცოდნა,მისი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტი ფლობს:რისკის სახეების და არასასურველი შედეგის დადგომის ალბათობის გამოვლენის უნარს;რისკების მინიმინიზაციის მიზნით, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დაზღვევის ვარიანტების შერჩევის უნარს; რისკ-მენეჯმენტთან დაკავშირებული სიტუაციების შეფასების უნარს; რისკების კლასიფიკაციის უნარს;

46. ინოვაციების მართვა

სასწავლო კურსის მიზნები- კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ ინოვაციური მართვის მეთოდებს და მათი გამოყენების ტექნოლოგიას კომპანიათა კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: ინოვაციური მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები; ინოვაციების სახეები და მათი კლასიფიკაცია; ინოვაციური სტრატეგია; სტრატეგიის პარამეტრები; სტრატეგიის შერჩევა; ინოვაციების შემუშავება ბაზრისათვის; საინოვაციო პროცესის სუბიექტები; სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასება და შერჩევა ; ინოვაციების შემუშავება ბაზრისათვის; ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობა და სხვ.

სწავლის შედეგი - გააჩნია ფართო ცოდნა თანამედროვე კომპანიებში ინოვაციების მართვის თავისებურებების და საჭიროების თაობაზე; ფართოდ აცნობიერებს ინოვაციური პროცესების მართვის სისტემის მნიშვნელობას კომპანიის საბოლოო შედეგებისათვის; მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია ახალი პროდუქტის დამუშავებაში მონაწილეობის მიღება ; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ინოვაციური პროცესების პროგნოზირების და დაგეგმვის მაჩვენებლების რანჟირება

(არჩევითი სასწავლო კურსები)

47. მოლაპარაკების წარმოება

სასწავლო კურსის მიზანი- წარმოდგენილი სასწავლო კურსის მიზანია ბაკალავრები დაეუფლონ მულტიკულტურულ სამყაროში ეფექტიანი მოლაპარაკებების წარმოების ტექნოლოგიას.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსით გათვალისწინებულია იმ საკითხების შესწავლა, რომლებიც ბაკალავრებს შეასწავლით მოლაპარაკებათა წარმართვის თავისებურებებს, ისინი დაეუფლებიან მოლაპარაკების პროცესის დაგეგმვის, მომზადების და წარმართვის უნარ-ჩვევებს. კურსით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლა: მრავალფეროვნებათა ცოცხალი გალერეა; მოუღებელიობებით აღსავსე დიდი სივრცე; მოლაპარაკებები ომის ხელოვნებით; მრავალფეროვანი კონტინენტი – რესურსული ეკონომიკა; წარმატებული ეკონომიკა რესურსების გარეშე; ევროპა – ერთიანი და განსხვავებული; მოლაპარაკებათა წარმართვის ტექნოლოგია; ეკონომიკური დიპლომატია და უსაფრთხოება.

სწავლის შედეგი - აქვს მოლაპარაკებათა წარმოების ტექნოლოგიის ფართო ცოდნა;

ფლობს მოუღებელიობათა შემთხვევაში მოლაპარაკებათა წარმატების ხელოვნების საბაზისო ელემენტებს, შეუძლია პირამიდული პრინციპით ურთიერთობათა თავისებურებების პრაქტიკაში ფართო გამოყენება; წარმატებულ მოლაპარაკებათა დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება; კომპანიის ინტერესების ჩარჩოებში მოლაპარაკების წარმართვაში მონაწილეობა; მოლაპარაკებებისას ეკონომიკური დიპლომატიის ტექნოლოგიის კომპლექსური ელემენტების გამოყენება;

წინასწარი მითითებების საფუძველზე გააჩნია მოლაპარაკებათა სტრატეგიის კომბინირების უნარი; მოლაპარაკებათა ტაქტიკის შერჩევის უნარი;

48. მცირე ბიზნესის მართვა

სასწავლო კურსის მიზანი: შემოთავაზებული სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს ფართოდ გააცნოს მცირე ბიზნესის მართვის ძირითადი კანონზომიერებანი; გამოუმუშავოს მათ მცირე ბიზნესის მართვის სფეროში საქმიანობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

სასწავლო კურსის შინაარსი - ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში „მცირე ბიზნესის მართვის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კურსის ფარგლებში შეისწავლება მცირე ბიზნესის ადგილი და როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში; მცირე ბიზნესის განვითარების გარე გარემოს ფაქტორები, მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურა; მცირე საწარმოს სტრატეგიული განვითარება; მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა და განვითარების პერსპექტივები.

სწავლის შედეგი - ფართოდ ფლობს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში შესაბამისი იდეების შემუშავებისა და რეალიზაციის უნარს. მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია მცირე ბიზნესის სფეროში მომუშავე სუბიექტის წინაშე არსებული სიტუაციისა და პრობლემების ანალიზი; მცირე ბიზნესის სფეროს მენეჯერული პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო მეთოდების იდენტიფიცირება და მათი მცირე ბიზნეს სტრუქტურებში ფართოდ გამოყენება;

49. საერთაშორისო მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზანი – საგნის შესწავლის ძირითადი მიზანია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად წარმოშობილი მართვის თავისებურებებისა და პრობლემების ფართოდ შესწავლა; მათთან დაკავშირებული კომპლექსური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო დისციპლინა შეისწავლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შემდეგ საკითხებს: საერთაშორისო მენეჯმენტის არსი, საგანი, სტრუქტურა და განვითარების თავისებურებანი. საერთაშორისო მენეჯმენტისა და ბიზნესის მართვის ეროვნული მოდელის მახასიათებლები; საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ინტეგრირებული კორპორატიული სტრუქტურები; მეკ–ის სტრატეგიული გეგმების შემუშავება და რეალიზაციის პრაქტიკა; სტრატეგიული დაგეგმვის სქემები; სტრატეგიული დაგეგმვის ორგანიზაცია; საერთაშორისო ალიანსების ჰიბრიდული სტრატეგიების მართვა; საგარეო ვაჭრობის მართვა; საერთაშორისო ფინანსების მართვა; საერთაშორისო ინვესტიციების მართვა; მეკ–ის ტექნოლოგიური განვითარება; კორპორატიული კულტურა საერთაშორისო კომპანიებში; გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო კომპანიებში.

სწავლის შედეგი – გააჩნია საერთაშორისო ბაზარზე ფუნქციონირებადი ინტეგრირებული კორპორაციული სტრუქტურების მახასიათებლების ფართო ცოდნა; იცის ინტეგრირებული საბანკო სტრუქტურების თავისებურებები; შეუძლია სატრატეგიული დაგეგმვის ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება; მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია – საერთაშორისო კომპანიის ფინანსურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღება; გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაფინანსების წყაროების მოზიდვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა;

52. კონფლიქტების მართვა

სასწავლო კურსის მიზანი – წარმოდგენილი სასწავლო კურსის მიზანია ბაკალავრები დაეუფლონ კონფლიქტების მართვის ტექნოლოგიას.

სასწავლო კურსის შინაარსი – კურსი ორიენტირებულია სტუდენტს შეუქმნას წარმოდგენა კონფლიქტოლოგიაზე /კონფლიქტების მართვაზე, როგორც მეცნიერებაზე. აგრეთვე არსებული სამეცნიერო და პრაქტიკულ მიდგომებზე იმ პრობლემებთან მიმართებაში, რომლებიც დაკავშირებულია კონფლიქტური და კრიზისული სიტუაციების მოლაპარაკებებსა და საშუაშაველო პროცედურების გზით დარეგულირებასთან. განუმტკიცოს თეორიული ცოდნა ორგანიზაციული კონფლიქტების მართვის სფეროში და გამოუმუშაოს კონფლიქტურ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

სწავლის შედეგი – სასწავლო კურსის დაუფლების შემდეგ ბაკალავრმა უნდა იცოდეს კონფლიქტების არსი და მიზეზები, წარმოქმნის მექანიზმი და მიმდინარეობის დინამიკა; კონფლიქტების ტიპოლოგია, სტრუქტურა და დინამიკა; კონფლიქტების მართვის ძირითადი ცნებები, პრინციპები და პროცესები ;მინიმალური ზედამხედველობის პირობებში უნდა შეემლოს რეალური სიტუაციის და კონფლიქტური ფაქტორების შეფასება, კონფლიქტის დასრულების პროგნოზირებაში მონაწილეობის მიღება;

54. მენეჯერული უნარები და ლიდერობა

სასწავლო კურსის მიზანი - წარმოდგენილი სასწავლო კურსის მიზანია ბაკალავრებმა მიიღონ ფართო ცოდნა მენეჯერულ უნარებსა და ლიდერობის ტექნოლოგიაში.

სასწავლო კურსის შინაარსი - კურსი ორიენტირებულია სტუდენტისათვის ახალი ეკონომიკური აზროვნების ფორმირებასა და ეფექტიანი მართვის პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლებაზე; თანამედროვე ლიდერის ჩამოყალიბებაზე. ამდენად, მისი შესწავლის საგანია: ლიდერის 10 თვისება; ლიდერის პერსონალური თვისებები; წარმატებული გუნდის შექმნა; ლიდერი წარმოებაში; ლიდერის ეთიკა; მიზანი, ძალა, ნებისყოფა; ლიდერი, მენეჯერი, ძალაუფლება; მომავალი ლიდერის ნაბიჯები;

სწავლის შედეგები: გააჩნია მენეჯერული უნარებისა და ლიდერობის საფუძვლების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ფართო ცოდნა; მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია სწავლება, კონსულტაციები და მხარდაჭერი კომუნიკაციების განხორციელება, რეალური ძალაუფლებისა და ზეგავლენის მოპოვებისათვის, იცის ადამიანების მართვისა და მათი სტიმულირების საბაზისო ელემენტები; კონფლიქტების მართვაში მონაწილეობის მიღება;

55. ორგანიზაციის თეორია

სასწავლო კურსის მიზანი: შემოთავაზებული სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს ფართოდ გააცნოს ორგანიზაციული ქცევის ძირითადი კონცეფციები. ორგანიზაციის თეორიისა და მენეჯმენტის პრაქტიკის გამოყენებით გამოუმუშავოს ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირებისა და ორგანიზაციული პროცესების რაციონალურად წარმართვის უნარი.

სასწავლო კურსის შინაარსი

კურსი ძირითადად ეფუძნება ორგანიზაციის თანამედროვე თეორიების განხილვას. მაში განხილულია შემდეგი საკითხები: ორგანიზაციების სახეები და ძირითადი მახასიათებლები. ორგანიზაციული ურთიერთობის დონეები. ორგანიზაციული სისტემების ტიპები. ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლი; ორგანიზაციული სტრუქტურა, ორგანიზაციის ძირითადი ელემენტები და მათი ურთიერთმიმართება; ორგანიზაციული პრობლემები და გადაჭრის პიროვნული ფაქტორები. ინდივიდუალური მახასიათებლები; პრობლემათა გადაჭრის სტილი. ინტუიცია და შემოქმედებითობა; ორგანიზაციული ცვლილებების დაგეგმვა და მიზნები. ორგანიზაციული ცვლილებების მოდელები. ორგანიზაციული განვითარების სტრატეგია და საშუალებები. ორგანიზაციული განვითარების ფაქტორები.

სწავლის შედეგი - გააჩნია ორგანიზაციული ქცევის ძირითადი კონცეფციების ფართო ცოდნა;

ერკვევა ორგანიზაციის კონცეპტუალურ საკითხებში; ფართოდ ფლობს ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიულ ასპექტებს; იცის სამუშაო ადგილის დანიშნულება და შემადგენელი ელემენტები; შეუძლია ორგანიზაციის თეორიის ძირითადი დებულებებისა და პრინციპების გადმოცემა და ფორმულირება; ორგანიზაციის შემადგენელი ძირითადი ელემენტებისა და მათი ურთიერთმიმართების დადგენა; ადამიანის ორგანიზაციასთან ურთიერთობის კომპლექსური დახასიათება; ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიის სწორად შერჩევაში მონაწილეობის მირება;

მოდული – ფინანსები

(სავალდებულო სასწავლო კურსები)

35. საბანკო საქმე

სასწავლო კურსის მიზანი: კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ საბანკო სისტემის მუშაობის მექანიზმსა და საბანკო ოპერაციების წარმოების ტექნიკას; გაერკვნენ საბანკო ოპერაციების თავისებურებებში; ბანკთაშორის ურთიერთობების ფორმებსა და მეთოდებში, საბანკო სტრუქტურების მმართველობით ასპექტებში რაც ხელს შეუწყობს ეროვნული და კომერციული ბანკების წარმატებული საქმიანობას;

სასწავლო კურსის შინაარსი –სასწავლო კურსი ორიენტირებულია საბანკო საქმიანობის თანამედროვე წესების და მეთოდების შესწავლაზე, საბანკო სფეროს საქმიანობის მართვის

სისტემის ცოდნაზე, ხელისუფლების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შინაარსის და მიზნების არსში გარკვევაზე. შესწავლის საგანს წარმოადგენს ბანკების აქტიური და პასიური ოპერაციები, სავალუტო-ფულად-საანგარიშსწორებო, საკრედიტო, საინვესტიციო საქმიანობა, საბანკო კონტროლი და მონიტორინგი. განსაკუთრებული როლი ენიჭება პრაქტიკული საკითხების და ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სწავლის შედეგი – ფართოდ ფლობს საბანკო სფეროში საქმიანობის ცნებით აპარატს; საბანკო ოპერაციების წარმოების ელემენტებს; იცის ბანკთაშორის ურთიერთობების ფორმები და მათი შინაარსი; აცნობიერებს ბანკების ფუნქციონირების პრინციპებს და მათოდებს, გააჩნია საბანკო-საანგარიშსწორებო სატრასტო ოპერაციების თავისებურებების ფართო ცოდნა; შეუძლია ძირითად საბანკო ოპერაციები განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; ფლობს საბანკო რისკების მართვის მექანიზმების შემუსავებაში მონაწილეობის მიღების უნარ-ჩვევებს; მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია - საბანკო საქმიანობაში წამოჭრილი პრობლემის რაციონალურად გადაწყვეტა;

36. რისკები და დაზღვევა

სასწავლო კურსის მიზნები - თანამედროვე სადაზღვევო საქმიანობა ფინანსური მომსახურების ინფრასტრუქტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. ეკონომიკის გლობალიზაციამ კიდევ უფრო აამაღლა რისკების დადგომის ალბათობა. სწორედ ამიტომ ბოლო წლებში რისკების მართვას და დაზღვევას დიდი ყურადღება ეთმობა. რისკების დაზღვევის ეფექტიანი პროცედურა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საშუალებას აძლევს ნებისმიერ საქმეში წინასწარ დაინახოს რისკები და მიიღოს მათი დაზღვევის დასაბუთებული გადაწყვეტილებები. კურსის მიზანია შეისწავლოს რისკების მართვის და დაზღვევის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემატური საკითხები, გააცნობიეროს ის მოვლენები, რომლებიც იწვევს დანაკარგებს და ფინანსურ სიმწელებებს, დაეუფლოს დაზღვევის იმ მეთოდებს, რომლის მეშვეობითაც ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა ფინანსურად უფრო დაცული იქნება;

სასწავლო კურსის შინაარსი- სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ ძირითად თემებს: რისკის არსი და რისკის სახეები; დაზღვევის არსი და მისი ადგილი საბაზრო ეკონომიკაში; რისკების კლასიფიკაცია; დაზღვევის სამართლებრივი საფუძვლები; რისკ-მენეჯმენტის კანონები და პრინციპები; დაზღვევის ცალკეული სახეები; გადაზღვევა და თანადაზღვევა; სადაზღვევო შენატანების განსაზღვრის მეთოდები; სადაზღვევო ბაზრის თავისებურებები და სხვა. ეს კურსი სტუდენტებს დაეხმარება თავიანთ მომავალ საქმიანობაში განსაზღვრონ რისკები და მიიღონ მათგან დაზღვევის დასაბუთებული გადაწყვეტილებები.

სწავლის შედეგები - დაზღვევის რეგულირების პრინციპების ცოდნა, გადაზღვევის და თანადაზღვევის პრინციპების ცოდნა, სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი უნარ-ჩვევების ფლობა, სტუდენტი უნდა ფლობდეს, რისკის სახეების და არასასურველი შედეგის დადგომის

ალბათობის გამოვლენის უნარს, რისკების მინიმიზაციის მიზნით, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დაზღვევის ვარიანტების შერჩევის უნარს;

დაზღვევის სახეების კლასიფიკაციისა და სინთეზური ანალიზის უნარი;

37. კორპორაციული ფინანსები

სასწავლო კურსის მიზანი - „კორპორაციის ფინანსების“ კურსის მიზანია სტუდენტმა ფათო ცოდნა მიიღოს კორპორაციის ფინანსური პაკეტის შესახებ; აქტივებისა და პასივების მართვის, ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენება კორპორატიული კაპიტალის ზრდის მიზნით;

სასწავლო კურსის შინაარსი: სასწავლო კურსით განსაზღვრულია შემდეგი საკითხების შესწავლა: კორპორაციის ფინანსების არსი; ფინანსური საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპები; კორპორაციაში ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება; კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის მექანიზმები; კორპორაციის გაკოტრების დიაგნოსტიკა; კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის მექანიზმები და სხვ.

სწავლის შედეგი: ანობიერებს კორპორაციის ფინანსების ძირითად პრინციპებს, ფუძემდებლურ თეორიებს, კონცეფციებს და მეთოდებს; სწორად განმარტავს, ფინანსების სფეროში ძირითადი ტერმინებს; გამოუმუშავდება ფულადი რესურსების მობილიზაციისადმი და განაწილებისადმი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

38. საჯარო ფინანსები

სასწავლო კურსის მიზნები - კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს საჯარო ფინანსური სისტემების განვითარების თანამედროვე ტენდენციები, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის აქტუალური საკითხები. გააცნობიერონ საჯარო ფინანსების როლი და ადგილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

სასწავლო კურსის შინაარსი-სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: საჯარო ფინანსების არსი და ფუნქციები, საბიუჯეტო ურთიერთობათა დიალექტიკა, საჯარო ფინანსების მართვა, საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესი, ბიუჯეტის კლასიფიკაცია, საგადასახადო სისტემა და მისი ეფექტიანობა, ბიუჯეტგარეშე ფონდები და სხვა. სტუდენტებს მოეთხოვებათ ფაქტობრივი ინფორმაციის შესწავლა, ტერმინების სწორა გაგება და გამოყენება.

სწავლის შედეგი - ეცოდინება საჯარო ფინანსების იმანენტური ბუნება, მისი რგოლების მართვა; აცნობიერებს სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ ფუნქციას და საჯარო ფინანსური რესურსების გამოყენებისა და შემოსავლების განაწილების პრაქტიკას; შესძლებს საჯარო ფინანსების სფეროში ძირითადი ტერმინების სწორად განმარტებას, გამოუმუშავდება საჯარო ფულადი რესურსების პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

39. ინვესტიციები

სასწავლო კურსის მიზანი - კურსის ძირითადი მიზანია ეკონომიკის განვითარებისათვის ინვესტიციების თეორიის ფართოდ შესწავლა.

სასწავლო კურსის შინაარსი -სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: საინვესტიციო საქმიანობის მიზნები, ფუნქციები და ფორმები; კაპიტალის მოძრაობა საფინანსო ბაზრებზე; მოთხოვნა და მიწოდება საინვესტიციო ბაზარზე, ინვესტირება უძრავ ქონებაში, ინვესტიციები ინოვაციებში, საერთაშორისო საინვესტიციო პროექტების შეფასების ძირითადი მეთოდები;საინვესტიციო პორტფელი და სხვა.

სწავლის შედეგი -აქვს ინვესტიციების სტრუქტურის კრიტიკული გააზრების უნარი; იცის ინვესტირების არსი და შინაარსი. აქვს ინვესტირების სახეობების ფართო ცოდნა;აქვს ქვეყნის საინვესტიციო გარემოსა და კლიმატის აღქმა-შეფასების უნარ-ჩვევები; შეუძლია ცალკეული ქვეყნებში არსებული ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და მათი მოზიდვის შესახებ კომპლექსური გადაწყვეტილების მიღება;

40. საგადასახადო ადმინისტრირება

სასწავლო კურსის მიზანი – სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ საგადასახადო სისტემას, მისი ადმინისტრირების მექანიზმებს სამეწარმეო საქმიანობის სრულფასოვნად წარმართისათვის; ჩამოუყალიბოს სტუდენტებს სამეწარმეო საქმიანობაში გადამხდელის უფლებებისა და მოვალეობების აღქმის/გააზრების უნარ-ჩვევები და მსოფლმხედველობა.

სასწავლო კურსის შინაარსი – კურსი მოიცავს შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლას: გადასახადების სოციალურ ეკონომიკური არსი; გადასახადების ფუნქციები; გადასახადების წყაროები;საგადასახადო პასუხისმგებლობის ცნება, ნიშნები და სუბიექტები;საგადასახადო სამართალდარღვევის ცნება, ნიშნები და სახეები;საგადასახადო დავალიანებების გადახდევინების უზრუნველყოფა; იმპორტის გადასახადის ადმინისტრირება;ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებაეკონომიკური ტერიტორია და საქონლის სტატუსი; საერთაშორისო დაბეგვრა; უცხოეთში გადახდილი გადასახადის ჩათვლა; ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება;საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა.

სწავლის შედეგი – ფართოდ უნდა ფლობდეს გადასახადებისა და საგადასახადო პოლიტიკის შესწავლის დროს დაგროვილი ცოდნის გამოყენების უნარს – იცნობდეს და თავისუფლად იყენებდეს, მიკრო და მაკრო დონეზე საგადასახადო საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად საინფორმაციო და საკანონმდებლო შესაძლებლობებს; შეეძლოს ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მახასიათებლების დადგენა, კომპლექსური ანალიზი, განვითარების ტენდენციებისა და ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენა და საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშება.

41. საერთაშორისო ფინანსები

სასწავლო კურსის მიზნები – შეასწავლოს სტუდენტებს საერთაშორისო საფინანსო საქმიანობაში, გამოყენებადი წესებისა და ხერხების სწორი შეფასება და მათი პრაქტიკული გამოყენება; გააცნოს მათ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ფინანსური ბაზრებისა და ფინანსური ორგანიზაციების ორგანიზაციულ სტრუქტურული განსხვავებულობის და ფუნქციების, შესახებ; შეასწავლოს სტუდენტებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები სართაშორისო ორგანიზაციათა სისტემაში, მათი როლი ფულადი რესურსების განაწილებაში. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესებში; შეასწავლოს რეგიონული საფინანსო ორგანიზაციების როლი ფინანსური რესურსების გადანაწილებაში, საერთაშორისო ფინანსების როლი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში; გააცნოს მათ რეგიონული ბანკები და მათი მნიშვნელობა. რეგიონული ფონდები და საფინანსო ორგანიზაციები. რეგიონული საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების განვითარების პერსპექტივები; ჩამოუყალიბოს საერთაშორისო საფინანსო საქმიანობაში სამართლებრივად სწორი მოქმედებების, უფლებებისა და მოვალეობების აღქმის/გააზრების უნარ-ჩვევები და მსოფლმხედველობა; წარმოდგენა შეუქმნას მათი მართვის მექანიზმების თაობაზე; ახსნას, საერთაშორისო ეკონომიკური, საფინანსო საქმიანობაში სამართლებრივად სწორი, გამოყენებადი პრაქტიკული წესები და ხერხები.

სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი – კურსი ორიენტირებულია მსოფლიო ფინანსების განვითარების ეტაპებზე. მსოფლიო ფინანსების და კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბება და გენეზისი. კრედიტი, სესხი და ვალი მსოფლიო ომების დროს. მსოფლიო ფინანსები ოქრო სავალუტო (ოქრო დოლარის) სტანდარტის პირობებში და ფიქსირებული სავალუტო კურსი. მსოფლიო ფინანსების თანამედროვე პერიოდი; გლობალიზაცია - სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ახალი ეტაპი. სტრუქტურული ძვრები მსოფლიო ეკონომიკაში. ფინანსური გლობალიზაცია და ფინანსური დეფიციტი. ნაციონალური ეკონომიკის დეფიციტურობის მაჩვენებლები. სავალო ეკონომიკა; კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ტრადიციული თეორიები. კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების თანამედროვე თეორიები. კაპიტალის ნაკადი და მთავარი საფინანსო ბაზრები. ევროსავალუტო ბაზრის წარმოშობა, განვითარება და მოცულობა. ევრობანკი და ევროვალუტის ბანკთაშორისი ბაზარი. ევროსაბანკო საქმიანობის ცენტრები; საერთაშორისო საბანკო კრედიტები და სესხები. უცხოური საბანკო კრედიტი. სინდიცირებული ევროკრედიტები; სავალო ფასიანი ქაღალდების და აქციების მსოფლიო ბაზარი. სავალო ფასიანი ქაღალდები: სახეები, ემიტენტები, ინვესტორები. საერთაშორისო სავალო ფასიანი ქაღალდები. სავალო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრები. სავალო ფასიანი ქაღალდების მთავარი ბაზრები. საბირჟო ვაჭრობა აქციებით. აქციების მთავარი ბაზრები. ფინანსური დერივატივი: ძირითადი გაგება. ფორვარდების ბაზარი. ფინანსური ფიუჩერსი. ოპციონი. სვოპი. საკრედიტო დერივატივი, განვითარებადი ქვეყნები: საგარეო დაფინანსება, განვითარების საერთაშორისო დაფინანსება. განვითარების გლობალური კონცეფციები. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საერთაშორისო დაფინანსება; საერთაშორისო სა-

ვალო კრიზისი და საგარეო ვალების დარეგულირება. სავალო კრიზისის წინამძღვრები. სავალო კრიზისის წარმოშობა და განვითარება. სავალო კრიზისის დაძლევის გეგმები და პრაქტიკა. საგარეო ვალების დარეგულირების თანამედროვე სისტემის ფორმირება. განვითარებადი ქვეყნების ინსტიტუციონალურ-სტრუქტურული გარდაქმნა; საქართველოს საერთაშორისო ფინანსების სისტემაში. საქართველოს საერთაშორისო დაფინანსება და ვალი. საქართველოს ფინანსური მდგომარეობის თავისებურებანი გარდამავალ პერიოდში, მოთხოვნა საგარეო დაფინანსებაზე და დაფინანსების მასშტაბები

სწავლის შედეგი – იცის საერთაშორისო ფინანსების წარმოშობისა და განვითარების ისტორია; საერთაშორისო ფინანსების სამართლებრივი რეგულირების ძირითადი საკანონმდებლო ნორმები, ტერმინთა დეფინიცია და მათი მართებული გამოყენება; კარგად აცნობიერებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების როლს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში; შეუძლია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების როლის განსაზღვრა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში; შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება, გადამუშავება და მონაცემების ინტერპრეტაცია/პრაქტიკაში გამოყენება. მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, შეუძლია კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებში ორიენტირება, სტრატეგიული ხედვის შემუშავება და მისი არგუმენტულად დასაბუთება

42. ფინანსური სტატისტიკა

სასწავლო კურსის მიზანი – სახელმწიფო ფინანსების, გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის, ბანკებისა და საბანკო დაწესებულებების, ფულის მიმოქცევისა და ინფლაციის, საგადასახდლო ბალანსისა და რიგი სხვა ფინანსური მიმართულებების მიხედვით ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ხასიათის საკითხების ათვისებაში;

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსი განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორცაა: ფინანსების სტატისტიკის შესწავლის საგანი, მეთოდი, ამოცანები და მაჩვენებელთა სისტემა; ფინანსების სტატისტიკა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემა; სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა; გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის სტატისტიკა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტატისტიკა; საბანკო და არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების სტატისტიკა; ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სტატისტიკა; ფასებისა და ინფლაციის სტატისტიკა; დაზღვევისა და სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკა; სავალუტო კონტროლისა და სავალუტო რეგულირების სტატისტიკა; საგადასახდლო ბალანსი; საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსების სტატისტიკა; უმაღლეს ფინანსურ გაანგარიშებათა საფუძვლები.

სწავლის შედეგები – იცის სახელმწიფო ფინანსების, საბანკო და ფულის მიმოქცევის, ფასებისა და ინფლაციის, საგადასახდლო ბალანსის მდგომარეობის სფეციფიკა, მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია სახელმწიფო ფინანსების, საფინანსო-საბანკო ბიზნესის და მენეჯმენტის საქმიანობის განსახორციელებლად სათანადო გადაწყვეტილებების მიღება;

43. ფულის მიმოქცევა და კრედიტის ორგანიზაცია

სასწავლო კურსის მიზანი - სტუდენტების მიერ ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობების სფეროში აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღება. ამ სფეროში ეროვნული და მსოფლიო გამოცდილების შეწავლა და განზოგადება, ხელიუფლების ფულად -საკრედიტო პოლიტიკის არსის და მიზნების გაცნობა, საბანკო სისტემის ფუნქციონირების სპეციფიურობის შესწავლა.

სასწავლო კურსის შინაარსი-სასწავლო კურსი ორიენტირებულია ფულია მიმოქცევისა და კრედიტის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის სწავლებაზე. ფულის მიმოქცევის ორგანიზაციის, დაგეგმვის და რეგულირების მეთოდების ათვისებაზე, საკრედიტო - საბანკო ურთიერთობების აღმოცენების და განვითარების კანონზომიერებათა შესწავლაზე.

სწავლების შედეგი - სტუდენტი იცნობს ფულისა და კრედიტის როლს და მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკის მშენებლობის საქმეში, მათი მართვის მექანიზმს და მეთოდებს, შეუძლია ფულის მიმოქცევის და დაკრედიტების საკითხებზე სწორი გადაწყვეტილების მიღება.

44. ფინანსური აღრიცხვა

სასწავლო კურსის მიზანი: კურსის მიზანია ბიზნეს-სუბიექტის ფინანსურ აღრიცხვის მეთოდების ფართოდ დაუფლება. საწარმოს ფინანსური დოკუმენტაციის აღრიცხვა და შეფასება და სერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესწავლა.

სასწავლო კურსის შინაარსი: სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: სავაჭრო და სათამასუქო მოთხოვნების აღრიცხვა, ვალდებულებების აღრიცხვა, საწარმოს ფინანსური დოკუმენტაციის ანალიზი, საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვა; ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება; ფინანსური აღრიცხვის კომპიუტრული პროგრამის გამოყენებით პრაქტიკული ამოცანების შესრულება.

სწავლის შედეგი: აცნობიერებს ფინანსური აღრიცხვის თავისებურებებს და საჭიროებას თანამედროვე კომპანიებში; აქვს ფინანსური აღრიცხვის თეორიული საკითხების ფართო და საფუძვლიანი ცოდნა; გააჩნია ფინანსური დოკუმენტაციის მართვის და კომპლექსური ანალიზის უნარი. შეუძლია – ფინანსური აღრიცხვის თეორიის ფართო ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება. საწარმოს ფინანსური დოკუმენტაციის ზოგადი ანალიზი; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება; ფინანსურ აღრიცხვაში სპეციალური ფინანსური პროგრამების გამოყენება.

45. ფინანსების თეორია

სასწავლო კურსის მიზანი - კურსის მიზანია ფინანსების იმანენტური ბუნებს შესწავლა, ფინანსების ცნებისა და კატეგორიების გაცნობიერება და მათი პრაქტიკაში გამოყენების ტექნოლოგიების დაუფლება.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსი ორიენტირებულია ფინანსების თეორიის და პრაქტიკული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაზე როგორცაა ფინანსური ურთიერთობების ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები, ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფინანსური ფონდების წარმოქმნის ,განაწილების და დამოყენების მექანიზმი, გადასახადები და სადადასახადო სისტემა და მისი ფუნქციონირების სისტემა;

სწავლის შედეგი –აცნობიერებს ფინანსებისა და ფინანსური სასტემის როლსა და მნიშვნელობას სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის საბოლოო შედეგებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფო ფონდები წარმოქმნა გამოყენებაში. მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია სამეურნეო სუბიექტების ფინანსების ორგანიზაციის მნიშვნელოვან საკითხებში გარკვევა, საგადასახადო სამსახურთან და ბიუჯეტთან ურთიერთობის დაგეგმვა და მისი რეალიზაცია.

46. ფინანსური მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზნები – კურსის-, ფინანსური მენეჯმენტი” ანუ ფინანსების მართვის ხელოვნების მიზანია მოამზადოს ფინანსური მართვის თანამედროვე მეთოდების ფართო ცოდნის ბაკალავრები.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: ფინანსური მენეჯმენტის მიზნები, ფუნქციები და ფორმები; როგორ ხდება ფინანსების საერთაშორისო მოძრაობა; ფინანსური ანგარიშგება ფინანსური მენეჯმენტის სისტემაში; ფინანსურ მენეჯმენტში გამოყენებული აღრიცხვისა და ფულადი ნაკადის ანალიზი; ფინანსური ბაზარის მნიშვნელობა კომპანიის ფინანსების რეგულირებაში.

სწავლის შედეგი –აქვს ფინანსური მენეჯმენტის თეორიული საფუძვლების ფართო ცოდნა; იცის ფინანსური მენეჯმენტის კომპლექსური უზრუნველყოფის სისტემები; ფინანსური მენეჯმენტის მეთოდური ინსტრუმენტები; აქვს საფინანსო ურთიერთობების სტრუქტურის კრიტიკული გააზრების ცოდნა; აქვს ფორმების ფინანსური მდგომარეობის აღქმა–შეფასების უნარ–ჩვევები; შეუძლია ფინანსურ მენეჯმენტში გამოყენებული აღრიცხვისა და ფულადი ნაკადის კომპლექსურ ანალიზში მონაწილეობის მიღება;

(არჩევითი სასწავლო კურსები)

47. ფასიანი ქაღალდების ბაზრები

სასწავლო კურსის მიზნები – სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები,ის ფორმები და მეთოდები ,რომლებიც გამოიყენება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ბირჟის სტრუქტურა, ფუნქციონირების პრინციპები, გარიგებათა სახეები, ლიკვიდურობის მართვის საკითხები და სხვ.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორცაა: ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა,სასესხო კაპიტალის ბაზარი. საფონდო ბირჟა,კომერციული ფასიანი ქაღალდების ემისია და მისი ორგანიზაციის ეტაპები,ვადაიანი კონტრაქტების ბაზარი - ფორვარდული და ფიუჩერული კონტრაქტებით ვაჭრობის პრინციპები,სვოპი,ბირჟის გარეშე ოპერაციები,ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო რეგულირება და სხვ.

სწავლის შედეგი - იცნობს ბაზრის ეკონომიკურ არსს, მისი წარმოშობისა და ფუნქციონირების მნიშვნელობას, გაცნობიერებული აქვს ფასიანი ქაღალდების ემისიის დანიშნულება, კომერციული ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის სპეციფიკა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირობებში პროფესიონალური გადაწყვეტილებების მიღება; პორტფელის შექმნაში მონაწილეობის მიღება;საფონდო ინდექსების განსაზღვრის ტექნოლოგიის ცოდნა;

48. საქართველოს ბიუჯეტი და საბიუჯეტო სისტემა

სასწავლო კურსის მიზანი - კურსის მიზანია სტუდენტები ფართოდ დაეუფლონ საქართველოს ბიუჯეტის და საბიუჯეტო სისტემის ფორმირების და მართვის ზოგად პრინციპებს და კანონზომიერებს.

სასწავლო კურსის შინაარსი -საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესწავლის დროს განიხილება ისეთი საკითხები,როგორც არის საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლები,ბიუჯეტის კლასიფიკაცია,ხარჯვის სისტემა და მისი ეფექტიანობა,ადგილობრივი თვით-მართველობის ბიუჯეტები,საბიუჯეტო კონტროლი; საქართველოს საბიუჯეტო სისტემის რეფორმა , საქართველოს საბიუჯეტო სისტემის რეფორმის პერსპექტივები;საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანობა და სხვ.

სწავლის შედეგი - ფართოდ იცის საქართველოს საბიუჯეტო მოწყობის ძირითადი პრინციპები და მარეგულირებელი ნორმები, საბიუჯეტო პროცესის შინაარსი და მისი სტადიები, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობების დანიშნულება, შეძლებს საბიუჯეტო სისტემის დაგეგმვასა და მართვაში მონაწილეობას და მართვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრისათვის საჭირო მეთოდებისა და საბიუჯეტო სისტემების ფორმირების ძირითადი პრინციპების გამოყენებას.

49. აუდიტი და კონტროლი

სასწავლო კურსის მიზნები – კურსის შესწავლის მიზანია, სტუდენტებმა მიიღონ კომპანიის ფინანსური რესურსების, ფიზიკური და არამატერიალური აქტივების; ვალდებულებების კორპორატიული და საჯარო კაპიტალის კონტროლის და აუდიტის მეთოდებისა და ფორმების ფართო და საფუძვლიანი ცოდნა;

სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი – სასწავლო კურსით გათვალისწინებულია სტუდენტებმა შეისწავლონ ფინანსური კონტროლის არსი, მნიშვნელობა და ადგილი სახელმწიფო კონტროლის სისტემაში, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის თავისებურებები და მახასიათებლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობათა გამოცდილება, საქართველოში აუდიტური საქმიანობის ნორმატიული რეგულირების თავისებურებები, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შინაარსი და მახასიათებლები, აუდიტისა და შიდა კონტროლის დაგეგმვის პრინციპები, აუდიტორული რისკის, არსებითობის და სტრატეგიის არსი, აუდიტური შემოწმების ეტაპები და მათი სპეციფიკა, აუდიტური მტკიცებულებების მოპოვების თავისებურებები და ანალიზური პროცედურების არსი, აუდიტორთა ეთიკის კოდექსის ნორმები, აუდიტის სფეროში საერთაშორისო გამოცდილება და სხვ.

სწავლის შედეგი – აცნობიერებს ფინანსური კონტროლისა და აუდიტის მნიშვნელობას და საერთო მდგომარეობას; დადგენილი კრიტერიუმების და მტკიცებულებების შესაბამისობის ხარისხს; მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია მატერიალური და არამატერიალური აქტივების, ინვესტიციების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური შედეგების და ფინანსური ანგარიშგების კონტროლისა და აუდიტის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას.

50. საერთაშორისო -სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები

სასწავლო კურსის მიზნები – გააცნოს სავალუტო ბაზრის ფუნქციონირების ძირითადი საკითხები, საერთაშორისო სავალუტო ბაზარი და მისი სტაბილურობის პრობლემები, სავალუტო ოპერაციების სახეები და მართვის მეთოდები, ბაზრის მონაწილეები და მათი ფუნქციები. სავალუტო ოპერაციების წარმოების ფორმები და ტექნიკა; სავალუტო ბაზარზე ტრეიდერების, დილერების და ბროკერების საქმიანობის თავისებურებანი, ვალუტის კურსის ცვლილების ანალიზის ფუნდამენტური და ტექნიკური ანალიზის მეთოდები, ვალუტის კურსის ცვლილების სწორი პროგნოზირების მეთოდები და სხვა.

სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი – კურსი მოიცავს შემდეგ თემებს საერთაშორისო ანგარიშსწორება; ეროვნული საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა ჩამოყალიბება და ცენტრალური (ეროვნული) ბანკების ფუნქციათა განვითარება; არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების როლი და ფუნქცია; კაპიტალის სართაშორისო ბაზრების განვითარება; ანტიინფლაციური პოლიტიკა, საკრედიტო რეგულირება, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საერთაშორისო ასპექტები; სავალუტო და საერთაშორისო საკრედიტო ბაზრების

ორგანიზაცია და რეგულირება; საერთაშორისო დაკრედიტების როლი საბანკო საქმიანობაში და დაკრედიტების მექანიზმები; კურსი აგრეთვე მოიცავს უცხოური სავალუტო კურსების განსაზღვრის მექანიზმებს, ვაჭრობის ტექნოლოგიებს და სავალუტო რისკების დაზღვევის ფორმებს; განვითარებადი ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემის ტრანსფორმაციის პოლიტიკა, განხორციელებული რეფორმები და ჯერ კიდევ არსებული პრობლემები; დამოუკიდებელი საქართველოს სავალუტო და საკრედიტო პრობლემები და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების როლი მათი გადაწყვეტის საქმეში;

სწავლის შედეგი – კარგად აცნობიერებს საერთაშორისო ეკონომიკური, საფინანსო და სავალუტო ურთიერთობათა თავისებურებებსა და მის მნიშვნელობას თანამედროვე პირობებში; იცის საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობებისათვის აუცილებელი სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ნორმები, ტერმინთა დეფინიცია და მათი მართებული გამოყენება, შეუძლია მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში საერთაშორისო სავალუტო საანგარიშსწორებო, საკონვენსიო, სასესხო ოპერაციების წარმოება; თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გენერირება;

51. ბიზნესის შეფასება

სასწავლო კურსის მიზანი. სასწავლო კურსის მიზანია: მიაწოდოს ბაკალავრებს უახლესი ცოდნა ბიზნესის განვითარების ახალი მოდელის შესახებ; გააცნოს მათ ბიზნესის შეფასების მეთოდოლოგია და კრიტერიუმები;

სასწავლო კურსის შინაარსი: კურსი ორიენტირებულია ბიზნესის შეფასების მაჩვენებლებისა და კრიტერიუმების შესწავლაზე; სასწავლო კურსის განმავლობაში შეისწავლება ტრადიციული ბიზნესის შეფასების კრიტერიუმები, მაჩვენებლები და მეთოდები; ყურადღება გამახვილებული იქნება გლობალური ბიზნესის შეფასების კრიტერიუმების, მაჩვენებლების და მეთოდების შესწავლაზე; შეისწავლება სხვადასხვა მიდგომები შეფასებაში, როგორცაა ბიზნესის შეფასება დანახარჯების მიხედვით, ბიზნესის შეფასება შემოსავლების მიხედვით და მოქმედ საწარმოთა შეფასება ობიექტ-ანალოგების მიხედვით. შემოსავლების განხილვისას ყურადღება განახვილდება როგორც შეფასებაში პირდაპირი კაპიტალიზაციის მოდომის გამოყენებაზე განსხვავებული მოდელებით (ინვუდის, ჰოსკოლდისა და რინგის მოდელები), ასევე ბიზნესის შეფასების დროს დისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებას (გორდონის მოდელი), კურსი მოიცავს ბიზნესის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესწავლასაც; სტრატეგიული სინერგიზმს ბიზნესში; ბიზნესის შესაძლებლობების იდენტიფიკაცია და სინერგიზმის მართვა; საწარმოთა ღირებულების მართვის პრინციპებს და საწარმოს ღირებულების ამაღლების სტრატეგიას. სტუდენტები შეისწავლიან უძრავი ქონების შეფასების პრინციპებსა და მეთოდოლოგიას, ასევე შეისწავლება მოძრავი ქონებისა და მანქანა მოწყობილობების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

სწავლის შედეგი – იცის თანამედროვე ბიზნესში კარდინალური ცვლილებების მიზეზები; გააჩნია ბიზნესის შეფასების მეთოდების და თავისებურებების ფართო ცოდნა; აცნობიერებს XXI საუკუნის გლობალური ბიზნესის შეფასების მეთოდებსა და თავისებურებებს;

მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია ბიზნეს სტრუქტურის ქონების ანალიზი; შეუძლია სწორი ფინანსური მენეჯმენტის წარმართვაში მონაწილეობის მიღება.

52. HR მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზანია: კურსის მიზანია სტუდენტმა ფართოდ შეისწავლოს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თეორიული საკითხები, გაერკვეს, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფაქტორს ორგანიზაციის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის.

სასწავლო კურსის შინაარსი - სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე, შესწავლილი იქნება შემდეგი თემები: ადამიანური რესურსები და ორგანიზაციის მენეჯმენტი, პერსონალის მართვის კონცეფციები, პერსონალის მართვის მიზანი, ამოცანები, სტრატეგია და პოლიტიკა, პერსონალის მართვის ანალიზი, დაგეგმვა და მოტივაცია, ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება, ორგანიზაციული კულტურა და შრომის ეთიკა, კონფლიქტების მართვა და ტრენინგების სისტემა.

სწავლის შედეგი - გააჩნია ბიზნესის ცალკეულ სფეროში ადამიანური რესურსების მართვის კანონზომიერებისა და თავისებურებების ფართო ცოდნა, მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ადამიანური რესურსების მართვის არსებული სიტუაციის ანალიზი, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში ადამიანური რესურსების მართვის კუთხით.

54. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების გაანგარიშების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ხასიათის საკითხების ფართო ათვისებაში; შეასწავლოს სტუდენტებს ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყენებული ძირითადი ანგარიშების აგების თავისებურებანი და მათი კომპლექსური ანალიზური შესაძლებლობები;

სასწავლო კურსის შინაარსი -სასწავლო კურსი ორიენტირებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, როგორც საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ეკონომიკური ინფორმაციის სისტემის უახლესი 2008 წლის ვერსიის შესწავლაზე და პრაქტიკულ გამოყენებაზე, ამ მიზნით, მასში განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ცნება, კვლევის ობიექტი, ამოცანები და ძირითადი პრონციპები, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შედგენისათვის საჭირო ძირითადი კონცეფციები და დეფინიციები, ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციები და დაჯგუფებები, წარმოების ანგარიში და მისი ძირითადი ელემენტები, შემოსავლების ანგარიშები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში, მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი კავშირი სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან, ეას-ის შედგენის თავისებურებანი შიდა ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით, დანახარჯები-გამოშვებისა და რესურსებისა და

გამოყენების ცხრილები, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გამოყენება მაკროეკონომიკურ ანალიზში და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში, ეროვნული სიმდიდრე ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში, საგარეო ეკონომიკური კავშირები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში.

სწავლის შედეგი – მინიმალური მითითებების საფუძველზე სტუდენტებს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შესწავლით შეუძლიათ აღწერონ ეკონომიკის სტრუქტურა, მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი 2008 წლის ვერსიის მიხედვით ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზში. მინიმალური მითითებების საფუძველზე შეუძლია ეკონომიკისა და ბიზნესის დარგებში და საქმიანობის ცალკეულ სახეებში ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების (მთლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება, დამატებული ღირებულება და ა.შ.) გაანგარიშება ახალ, ალტერნატიულ ინფორმაციულ რესურსებზე დაყრდნობით.

57. პრაქტიკა

პრაქტიკის მიზანი – საბაკალავრო პრაქტიკის მიზანია ბაკალავრიატში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

პრაქტიკის შინაარსი – მაგისტრანტები პრაქტიკას გაივლიან ეკონომიკისა და ბიზნესის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. პრაქტიკის პროცესი მიმდინარეობს პრაქტიკის ხელმძღვანელთან კონსულტაციების, მენტორთან უშუალო მუშაობის, მისი მითითებებისა და მიცემული დავალებების შესრულებისა და მაგისტრანტის დამოუკიდებელი მუსაობის ფორმატით. მაგისტრანტი პრაქტიკის ადგილზე უშუალოდ ჩაერთვება სტრუქტურების ოპერაციულ საქმიანობაში, შეასრულებს ცალკეულ დავალებებს, აწარმოებს პრაქტიკის დღიურს და შეადგენს პრაქტიკის ანგარიშს. პრაქტიკის დასრულების შემდეგ ხდება პრაქტიკის ანგარიშის დაცვა.

პრაქტიკის შედეგები – პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციებთან მისადაგების უნარი; კონკრეტული პრობლემის შეფასებისა და ორიგინალური მიდგომების შემუშავების უნარი; კონკრეტული სამუშაოს შესრულებისას ადექვატური რესურსების შერჩევის უნარი; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შესასრულებელი სამუშაოს განხორციელების უნარი

58. საბაკალავრო ნაშრომი

საბაკალავრო ნაშრომის მიზანი – საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის მიზანია გამოვლინდეს საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის დონისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა. კონკრეტული საკვლევი ტემის ფარგლებში მოხდეს საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან მათი გაღრმავება.

საბაკალავრო ნაშრომის შინაარსი – საბაკალავრო ნაშრომი უნდა ეხებოდეს კონკრეტული პრობლემის კვლევას. ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს პრობლემის მიმოხილვას, ანალიზს (კვლევას) და დასკვნა-რეკომენდაციებს. ნაშრომში უნდა ჩანდეს ბაკალავრის მიერ

კვლევის ჩატარებისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი. ნაშრომი მოიცავს აგრეთვე საკვლევი თემის სქემატურ ნაწილს – ნახაზებს, ცხრილებსა და დიაგრამებს. ნაშრომის ბოლოს კი მოყვანილი უნდა იყოს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

შედეგი – საბაკალავრო ნაშრომის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს პრობლემთან დაკავშირებული თეორიების, პრინციპების გააზრება და კომპლექსურისაკითხების გაცნობიერება; საბაკალავრო ნაშრომის თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხების თავისებურებების და სპეციფიკის სიღრმისეული ცოდნ და დემონსტრირება; პრობლემის დასმის და მისი გადაჭრისათვის ადექვატური მეთოდების გამოყენების უნარი; წინასწარ მიღებული მიკითხვების საფუძველზე კონკრეტული სამუშაოების ეტაპობრივად შესრულების უნარი.

თავისუფალი კომპონენტები

დამწყებთათვის ინგლისური ენის სასწავლო კურსების მოდული

დარგობრივი ენა 1

სასწავლო კურსის მიზნები: დარგობრივი ენა 1 წარმოადგენს B2 დონის კურსის 1 ნაწილს. მისი მიზანია სტუდენტმა აითვისოს ლექსიკური მარაგი ბიზნესის სფეროში, რათა ის სათანადოდ ფლობდეს ლექსიკას და ფრაზეოლოგიას მოლაპარაკებებზე, ბრიფინგებზე და სხვა საქმიან შეხვედრებზე წარმატებული კომუნიკაციის განსახორციელებლად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გარდა დარგობრივი ლექსიკის შესწავლისა, სტუდენტები გაიმეორებენ და გაიღრმავებენ გრამატიკის საფუძვლებს, დახვეწენ მოსმენის, საუბრის და წერის უნარ-ჩვევებს.

სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი: კურსი აგებულია საქმიანი გარემოსთვის დამახასიათებელ თემატიკასა და პრობლემატიკაზე. სტუდენტი ეცნობა ბიზნეს ტერმინოლოგიას, ის სწავლობს საქმიანი წრეებისათვის დამახასიათებელ ენობრივ ნორმებს და სპეციფიკას, ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის საჭირო ფრაზეოლოგიზმებს და ენობრივ კლიშეებს. კურსის მსვლელობისას განხილული იქნება ბიზნესის შემდეგი სფეროების ტერმინოლოგია: კორპორაციები, მომხმარებელი და

მომსახურეობის სფერო, პროდუქტი და წარმოება, კარიერული ზრდა, საქმიანი გარიგებები, კომპანიების საქმიანობა, საერთაშორისო ვაჭრობა და სხვ.

სწავლის შედეგი: იცის და გაცნობიერებული ზოგადი და დარგობრივი ენობრივი კლიშეები, დარგობრივი ინგლისური ენის სპეციფიკა, ფლობს საბაზისო დარგობრივ (ბიზნესის) ტერმინოლოგიას B2(1) დონეზე.

დარგობრივი ენა 2

სასწავლო კურსის მიზნები: დარგობრივი ენა 2 წარმოადგენს B2 დონის კურსის 2 ნაწილს. კურსის მიზანია გავუმდიდროთ სტუდენტებს დარგობრივი ლექსიკური მარაგი ბიზნესის სფეროშია. საქმიან გარემოში მოღვაწე ადამიანი უნდა ფლობდეს სათანადო ლექსიკას და ფრაზეოლოგიას მაღალ დონეზე, რათა მან შეძლოს განახორციელოს კომუნიკაცია გამართულ ინგლისურ ენაზე და მიაღწიოს სასურველ შედეგს. გარდა დარგობრივი ლექსიკისა სტუდენტები გაიმეორებენ და გაიღრმავებენ გრამატიკის საფუძვლებს, დახვეწენ მოსმენის, საუბრის და წერის უნარ-ჩვევებს.

სასწავლო კურსის აღწერა და შინაარსი: კურსი აგებულია საქმიანი გარემოსთვის დამახასიათებელ თემატიკასა და პრობლემატიკაზე. სტუდენტი ეცნობა ბიზნეს ტერმინოლოგიას, ის სწავლობს საქმიანი წრეებისათვის დამახასიათებელ ენობრივ ნორმებს და სპეციფიკას, ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის საჭირო ფრაზეოლოგიზმებს და ენობრივ კლიშეებს. კურსის მსვლელობისას იქნება განხილული ბიზნესის შემდეგი სფეროების ტერმინოლოგია: განათლება და კარიერა, გასაუბრება, საინფორმაციო სისტემები და კომუნიკაციები, საქმიანი სატელეფონო საუბრები, სტანდარტი და ხარისხი, გუნდისა და პროექტების მენეჯმენტი, მარკეტინგი და სხვა.

სწავლის შედეგი: იცის და გაცნობიერებული ზოგადი და დარგობრივი ენობრივი კლიშეები, დარგობრივი ინგლისური ენის სპეციფიკა, ფლობს საბაზისო დარგობრივ (ბიზნესის) ტერმინოლოგიას B2(2) დონეზე.

European Integration in Central Europe: the Experience of Visegrad countries

The course focuses on the study of issues such as: Prerequisites of integration; The aims and objectives of integration; History and stages of Eurointegration development; EU its policy and institutional mechanisms; European neighbourhood policy (ENP); Eurointegration expansion; The theoretical aspects of the Association Agreement;

Visegrad Countries in to the Eurointegration processes; Economic development of the Central European Countries and International Economic Relations

32. ბიზნეს გეგმების შედგენის მეთოდოლოგია

სასწავლო კურსის მიზანი – კურსის მიზანია სხვადასხვა ბიზნეს-გეგმების სპეციფიკისა და მათი შედგენის ტექნოლოგიის ფართო შესწავლა, ბიზნესის ქმედითი გეგმის შემუშავება, ფინანსური დაგეგმვის პრაქტიკული განხორციელების ტექნოლოგიის ფართოდ ფლობა.

სასწავლო კურსის შინაარსი – კურსის შესწავლა სტუდენტებს გაუადვილებს საბაზრო ეკონომიკაში ორიენტაციას; იმ წინააღმდეგობების დაძლევის, რომლებიც ფირმების შიდა დასაგარეო ბაზრებზე ფუნქციონირებასთან არიან დაკავშირებული. მოცემული დისციპლინის შესწავლისას სტუდენტები გაეცნობიან ბაზარზე ფირმის წარმატებით გასვლას, მისი წინსვლისა და გასაღების მაქსიმიზაციის უზრუნველყოფას; კურსთ გათვალისწინებულია ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: ბიზნეს-დაგეგმვის მეთოდოლოგიური საფუძვლები; საქონელი და მომსახურება; ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკა და ბიზნეს-გეგმათა სახესხვაობანი. ბიზნეს-გეგმა ახალი ორგანიზაციის დაარსებისათვის. ბიზნეს-გეგმა ორგანიზაციის მსხვილი საინვესტიციო პროექტის განხორციელებისათვის. არასაწარმოო დანიშნულების ორგანიზაციის ბიზნეს-გეგმა. ბიზნეს-გეგმა მცირე მომსახურების ფირმებისათვის; ბიზნეს-გეგმა მცირე საწარმოებისათვის; არაკომერციული სტრუქტურების ბიზნეს-გეგმა; ბიზნეს-გეგმა საცალოდ მოვაჭრეებისათვის; კონკრეტული ბიზნესისათვის ბიუჯეტის შედგენა; ბიზნეს-გეგმის პრეზენტაცია.

სწავლის შედეგი – იცის ბიზნეს-დაგეგმვის ამოცანები და მისი როლი ორგანიზაციის მართვაში; გააჩნია ფართო ცოდნა სხვადასხვა სფეროში ორგანიზაციის ბიზნეს-გეგმის შემუშავების თავისებურებებზე; იცის ფირმის პროდუქციაზე მოთხოვნის ფორმირების საბაზისო მახასიათებლები; გააჩნია ფართო ცოდნა საწარმოს განთავსების პრინციპებზე, მინიმალური მითითებების საფუძველზე შეუძლია – ბიზნეს იდეის გენერირება და მისი ეტაპების განსაზღვრა; კრეატიული ბიზნეს იდეის შემუშავება; ბიზნესის წინსვლისათვის საჭირო მეთოდებისა და ფორმების კომპლექსური გამოყენება; ბიზნესის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა; ნულოვანი მოგების წერტილის გამოყენებით კომპანიისათვის საჭირო მოცულობების დაგეგმვაში მონაწილეობა;

33. ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში

სასწავლო კურსის მიზანი – მარტივი სტრუქტურის პროექტების კვლევისა და მართვის თანამედროვე მეთოდების შესწავლა. პროექტების დამოუკიდებლად დაგეგმვა და მართვა. მართვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის საჭირო მეთოდების გამოყენება.

სასწავლო კურსის შინაარსი– სასწავლო კურსი ორიენტირებულია პროექტების კვლევის და მართვის თანამედროვე მეთოდების კომპიუტერული რეალიზაციის შესწავლაზე - პროექტების მენეჯერების მომზადებაზე. დიდი მოცულობის პროექტების დაგეგმვა და მართვა მჭიდროდ არის დაკავშირებული საპროექტო სამკუთხედის დაბალანსების აუცილებლობასთან, რაც შეუძლებელი ხდება ანალიზისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების (PERT ანალიზი, კრიტიკული გზის მეთოდი, რისკების ანალიზი და შემცირების სტრატეგია, პროექტის შესაძლო მიმდინარეობის პროგნოზირება) გამოყენების გარეშე. აღნიშნული კვლევების ჩატარების და ერთდროულად პროექტის დაგეგმვის, მართვის, რეალიზაცია-მონიტორინგის და ავტომატიზაციის შესაძლებლობას იძლევა Ms Project-ის პროფესიონალური გარემო.

სწავლის შედეგი – აქვს პროექტების მართვის თეორიის და შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა, აგრეთვე აცნობიერებს მათ ურთიერთკავშირს, შეუძლია ბიზნეს პროექტების დამოუკიდებლად დაგეგმვა და მართვა. მიზნის ფორმულირება; მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა; დროითი ჩარჩოების დაგეგმვა და მართვა; მართვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის საჭირო მეთოდების გამოყენება.

47. ფასწარმოქმნა მსოფლიო ბაზრებზე

სასწავლო კურსის მიზანი –კურსის შესწავლის მიზანია მისი დასრულების შემდეგ სტუდენტები ფართოდ ფლობდნენ მსოფლიო ბაზრებზე ფასწარმოქმნის სტრატეგიების შერჩევის ტექნოლოგიას.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: საფასო პოლიტიკის განსაზღვრის ძირითადი მიმართულებები; სტრატეგიული ფასწარმოქმნის არსი და მისი ეკონომიკური დასაბუთება; არასაფასო კოკურენციის როლი საფასო პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში; რესურსებზე ფასების ფორმირების მნიშვნელობა; სასაქონლო პოლიტიკა და ფასწარმოქმნა; კანონების თავისებურება საფასო პოლიტიკის სფეროში; ზღვრული ამონაგები და საფასო პოლიტიკა; ღირებულების არსი და მათი განსაზღვრის მაჩვენებლების დადგენა; რესურსებზე ფასების ფორმირება და სხვა;

სწავლის შედეგები – გააჩნია ფართო ცოდნა მსოფლიო ბაზრებზე ფასწარმოქმნის თავისებურებების და მისი ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შესახებ; აცნობიერებს მსოფლიო ბაზრებზე ფასწარმოქმნის კომპლექსური პროცესის მნიშვნელობას, ფლობს ფასწარმოქმნის საბაზისო სტრატეგიების ძირითად შემადგენლებს; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია მსოფლიო ბაზრებზე ფასწარმოქმნის საკითხების გადაჭრა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია მსოფლიო ბაზრებზე ფასწარმოქმნის განმსაზღვრელი მაჩვენებლების სინთეზური შეფასება; შეუძლია მსოფლიო ბაზრებზე ფასწარმოქმნის პროცესების მართვის.

სწავლის შედეგები: აცნობიერებს სტრატეგიული მენეჯმენტის ფუნდამენტურ პრინციპებს; სინერგიზმის მოვლენის როლს კონგლომერატული სტრატეგიისათვის; ფლობს მისიის, მიზნისა და ამოცანების არსს და მათი განსაზღვრის სპეციფიკას; მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია სტრატეგიული ალტერნატივების მიმართ თანამედროვე მიდგომების პრაქტიკული გამოყენება; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია – ბიზნეს-ერთეულის სტრატეგიის სპეციფიკის განსაზღვრა; ბიზნეს-ლადშაფტის შეფასების “ხუთი ძალის” და “წმინდა ფასეულობის” მოდელების პრაქტიკაში ფართოდ გამოყენება; ბიზნეს-გარემოში მომავლის განვითარების სცენარების პროექტირებაში მონაწილეობა;

50 . სახელმწიფო მართვა

სასწავლო კურსის მიზანი – საგნის შესწავლის ძირითადი მიზანია სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში ფართო და ეფექტიანი ადმინისტრირებისათვის სახელმწიფო მართვისა და თვითმმართველობის ძირითადი საკითხებისა და თანამდროვე ხედვის დაუფლება;

სასწავლო კურსის შინაარსი–სასწავლო დისციპლინა შეისწავლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხებს: სახელმწიფოს და ბიუროკრატის თეორია; ადგილობრივი მართვა და თვითმმართველობა; სახელმწიფო მართვის თანამედროვე ტენდენციები; თანამედროვე სახელმწიფო–ადმინისტრაციული მართვის სისტემა, სტრუქტურა და ფუნქციები, ადგილობრივი მართვის საქართველოს ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე ტენდენციები; რეგიონული პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზა; ეკონომიკის რეგიონული მართვის საკითხები; და სხვ.

სწავლის შედეგი – გაჩნია საზოგადოებრივ ურთიერთობათა და სახელმწიფოს ფორმირების ძირითადი ასპექტების ფართო ცოდნა; ფართოდ ფლობს თვითმმართველობის ევოლუციის, ისტორიულ და თეორიულ–მეთოდოლოგიურ საფუძვლებს; ფართოდ აცნობიერებს – ევროქართის არსს და მნიშვნელობას; შეუძლია ადმინისტრაციული კულტურის ელემენტების ფართოდ და ეფექტიანად გამოყენება; ზოგადი მითითებების საფუძველზე შეუძლია სახელმწიფო ადმინისტრაციული მართვის სისტემის ფორმირებაში მონაწილეობის მიღება; სახელმწიფოს სოციალური პროგრამების მართვაში მონაწილეობის მიღება;

51. საზოგადოებრივი მენეჯმენტი

სასწავლო კურსის მიზანი – სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებმა ფართოდ და საფუძვლიანად გააცნობიერონ საზოგადოებრივი ადმინისტრირების სფეროში სფეროში დაგროვილი თანამედროვე თეორიულ–მეთოდოლოგიური ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება; შეისწავლონ საზოგადოებრივი ადმინისტრირების მართვის მექანიზმები

საქართველოში და უცხოეთის განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, მოახდინონ მათი სინთეზური ანალიზი და ჩამოუყალიბდეთ კრიტიკული ხედვისა და კომპლექსური შეფასების უნარი.

სასწავლო კურსის შინაარსი – სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: საზოგადოებრივი ადმინისტრირების არსი. საზოგადოებრივი ადმინისტრირების როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში; სახელმწიფოს საზოგადოებრივი საქმიანობა: საზოგადოებრივი საქონლის და საჯარო მომსახურების მიწოდება; საბიუჯეტო და საგადასახადო ადმინისტრირება საქართველოში; მუნიციპალური მომსახურების არსი და თავისებურებანი; ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება და ადმინისტრირება საქართველოში; საჯარო სამართლებრივი საქმიანობის ადმინისტრირება; სამოქალაქო (ღია) საზოგადოების ფორმირება და განვითარება საქართველოში; საზოგადოებრივი ადმინისტრირების საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება;

სწავლის შედეგები – გააჩნია საზოგადოებრივი ადმინისტრირების ფუნქციონალური თეორიების სისტემური და ფართო ცოდნა; ფართოდ ფლობს საზოგადოებრივი ადმინისტრირების მექანიზმებს და მის ძირითად ელემენტებს; შეუძლია მისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ სექტორში მიმდინარე პროცესების დაგეგმვაში; მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ, სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის მოახდინოს კორელაციური ანალიზი;

53. ეკონომეტრიკა

სასწავლო კურსის მიზნები: სასწავლო კურსის შესწავლის მიზანია ეკონომეტრიკული მოდელირების მეთოდოლოგიის ფართოდ დაუფლება. სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მოდელის აგების შესწავლა და მოდელისა და მისი პარამეტრების შეფასების მნიშვნელობის შესწავლა.

სასწავლო კურსის შინაარსი – ეკონომეტრიკა ეკონომიკურ-მათემატიკურ დისციპლინათა ჯგუფს მიეკუთვნება. იგი აერთიანებს მეთოდებისა და წესების ერთობლიობას, რომელიც ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკური სტატისტიკის და მათემატიკურ-სტატისტიკური ინსტრუმენტარის ბაზაზე იძლევა სოციალურ-ეკონომიკური კანონზომიერებების კონკრეტული რაოდენობრივი გამოსახვის საშუალებას. კურსის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგრესიული მოდელების აგების მეთოდებს და მათ ეკონომიკურ ინტერპრეტაციას, აგრეთვე, ეკონომეტრიკულ მოდელთა მნიშვნელოვნების შეფასების საკითხებს. შეისწავლება მრავალგანზომილებიანი შემთხვევითი სიდიდეები, ეკონომიკურ მაჩვენებელთა ვარიაციისა და სიმჭიდროვის მაჩვენებლები; ეკონომეტრიკულ მოდელთა სახეები და ეკონომეტრიკული მოდელირების ეტაპები; რეგრესიის კოეფიციენტების შეფასების ტესტები; მრავლობითი რეგრესიის მოდელის აგება და

მისი მნიშვნელოვნების შემოწმების ტესტებსა და კრიტერიუმებს. ყურადღება გამახვილდება აგრეთვე, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა მულტიკოლინიარობისა და ჰეტეროსკედასტურობის პრობლემა, მათი გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდებზე. სტუდენტები შეისწავლიან ავტოკორელაციის საკითხსაც დროითი მწკრივების მოდელებთან მიმართებაში. ავტოკორელაციის გამოვლენისა და ამ პრობლემის გადალახვის ტესტებს. სასწავლო კურსის მოხედვით გათვალისწინებულია არაწრფივი რეგრესიის შესწავლა. შეისწავლება ფარფოდ გავრცელებული არაწრფივი რეგრესიული მოდელები.

სწავლის შედეგი – აქვს რაოდენობრივი კანონზომიერებების დადგენის უნარ-ჩვევები სტატისტიკური მონაცემების ანალიზის ბაზაზე; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია ეკონომეტრიკული მოდელის აგება, იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია; მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ეკონომეტრიკული მოდელების რეალიზაციათა საფუძველზე ეკონომიკური პროცესების ანალიზში მონაწილეობა მიღება და ეკონომიკური და ბიზნეს მაჩვენებლების ინტერპრეტაცია ;

55. ეკონომიკური პოლიტიკა

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი თეორიული დებულებების ფართო შესწავლას და მათი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლება.

სასწავლო კურსის შინაარსი: სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: ეკონომიკური გლობალიზაციის არსი და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე; ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა გლობალური გამოწვევების პირობებში; სოციალური პოლიტიკა გლობალიზაციის პროცესში; საფინანსო პოლიტიკა და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება ფინანსური გლობალიზაციის არსი და განვითარების მექანიზმი; ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დონეთა გრადაცია გლობალიზაციის დროს და მისი ინსტიტუციური უზრუნველყოფა და სხვ.

სწავლის შედეგი – გააჩნია ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის ფართო ცოდნა; შეუძლია მისი სპეციფიკისა და კომპლექსური დიაგნოსტიკის საჭიროებების გაცნობიერება პრობლემის გადასაჭრელად, როგორც გლობალურ ასევე ლოკალურ (ფირმის) დონეებზე. შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გლობალური და ლოკალური ეკონომიკური საფრთხეების პროგნოზირება და ეკონომიკური პოლიტიკის მართვის, რეგულირებისა და დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის მიღება.

56. საბანკო საქმის ელექტრონული სისტემები- "ბანკი 2000"

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტები დაეუფლონ საბანკო დაწესებულებაში საბანკო ოპერაციების განხორციელების ელექტრონულ სისტემას.

სასწავლო კურსის შინაარსი: სასწავლო კურსიორიენტირებულია საბანკო საქმიანობის თანამედროვე ინფორმაციული სისტემების, კერძოდ ქართულ საბანკო სისტემაში გავრცელებულ შპს „ალტა სოფთვეარის“ მიერ შექმნილი პროდუქტის - „ბანკი2000“ შესწავლაზე.სასწავლო კურსი ითვალისწინებს ბანკის კლიენტების მომსახურებასთან დაკავშირებულ საქმიანობების, როგორც არის: ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება; სავალუტო-კონვერსიული ოპერაციები; კლიენტებისა და არაკლიენტების სრული მომსახურება; შიდა საბანკო ოპერაციები; საბანკო ანგარიშების წარმოება; ბუღალტრული ოპერაციების წარმოება; სხვადასხვა ცნობარის წარმოება; აუცილებელი ანგარიშგება; დარიცხვის სქემები და მექანიზმები; საჩეკო წიგნაკები; ტარიფები; ავტომატიზირებული სისტემის მოხმარების შესწავლას.განსაკუთრებული როლი ენიჭება პრაქტიკული საკითხებისა და ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სწავლის შედეგი აქვს საბანკო საქმის თეორიული ცოდნის შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა და აცნობიერებს მათ ურთიერთკავშირს.